ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

2019 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტებისმონიტორინგის ანგარიში

დოკუმენტი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონრად ადენაუერის ფონდისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებებს.

თბილისი
იანვარი, 2021

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute
CSRDG
ctc Empowering People for Change
EDEC

სარჩევი

მადლიერების ნიშნად 3
მოკლე მიმოხილვა 4

შემოკლებები და ტერმინთა განმარტება 6
I შესავალი 7
II კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია 8

1. სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა 8
2. რაოდენობრივი კვლევა 10
3. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფები 10
4. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები 11

III სახელმწიფო გრანტების გაცემის 2019 წლის პრაქტიკის მიმოხილვა 12

1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა 12

IV 2019 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკა 19

V სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და მიგნებები 26

1. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი 31
2. საჯარო ინსტიტუტების მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება 36
3. ზოგადი მიგნებები 38
4. შედარებითი პრაქტიკის ტენდენციები 40

VI რეკომენდაციები 41

დანართები 43

დანართი #1: საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილის ნიმუში 43
დანართი #2: რაოდენობრივი კვლევის ნიმუში 44
დანართი #3: ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო - სახელმწიფო გრანტის გაცემ საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან 49
დანართი #4: ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო გრანტის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმოადგენლები 50
დანართი #5: ფოკუს-ჯგუფების გზამკვლევი გრანტის მიმღებ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან 52
დანართი #6: ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომელთაც არ მიუღიათ სახელმწიფო გრანტი 55

მადლიერების ნიშნად

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია მადლიერებას გამოხატავს კვლევის განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირის - საჯარო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც წვლილი შეიტანეს წინამდებარე ანგარიშის შექმნაში. აღნიშნული თანამშრომლობისა და მიღებული ღირებული ინფორმაციის გაზიარების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა კვლევის განხორციელება და წინამდებარე ანგარიშის შემუშავება

მიუხედავად კვლევის მიმდინარეობისას კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და ქვეყანაში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებისა, მონიტორინგის განხორციელების პროცესში თითოეულმა მათგანმა აქტიურად შეუწყო ხელი ღირებული ცოდნის შექმნას მკვლევარებისათვის ინფორმაციის ღიად მიწოდებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების გზით.

მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების, ჩაღრმავებული და რაოდენობრივი ინტერვიუების რესპონდენტების მიერ პრაქტიკული გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების გაზიარება ღირებული იყო კვლევის ძირითადი მიგნებების გამოვლენისა და რეკომენდაციის შესამუშავებლად.

განსაკუთრებული მადლიერება გვსურს გამოვხატოთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ დონორების - ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიმართ - კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

მოკლე მიმოხილვა

2019 წელს საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემული სახელმწიფო გრანტების მონიტორინგი განახორციელა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელშეწყობითა და ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის / მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის პროცესის ეფექტიანობის შესწავლა, გრანტის გაცემის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა მოიცავს საჯარო ინსტიტუტების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემულ საგრანტო დაფინანსებას. ამასთან, კვლევა არ მოიცავს საბიუჯეტო სახსრებიდან განხორციელებული პროექტების შინაარსობრივ ან ხარისხობრივ შეფასებას.

სახელმწიფო გრანტის გაცემის მოქმედი სისტემის მონიტორინგისთვის გამოყენებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული „სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო“[1] და 2016-2018 წლების მონიტორინგის ანგარიშები[2] წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს განხორციელებული სამაგიდე კვლევის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების გაერთიანებულ ანალიზს. ანგარიშში ერთი მხრივ, შესწავლილია სახელმწიფო გრანტის გაცემის და შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემო, ხოლო მეორე მხრივ, შეფასებულია გრანტების გაცემის პრაქტიკა, პროექტების განხორციელების ეტაპები, საგრანტო კონკურსების გამოცხადებისა და ადმინისტრირების ეტაპები, და საგრანტო კონკურსებში მონაწილე და გრანტის მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკული გამოცდილება და დამოკიდებულებები.

მოპოვებული მეორად და პირველად (თვისებრივი და რაოდენობრივი) ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვლენილია კვლევის მიგნებები და შემუშავებულია რეკომენდაციები საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემული სახელმწიფო გრანტების

[1] https://civilin.org/pdf/Methodology.pdf
[2] https://csogeorgia.org/ge/evrokavshiri-sakartvelostvis/resources

პროცესის გაუმჯობესებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო გრანტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

მონიტორინგის პროცესისთვის საჭირო ინფორმაცია მოპოვებულ იქნა როგორც სახელმწიფო გრანტის გამცემი უწყებების, ისე საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღები და არა მიმღები ორგანიზაციებისგან. კვლევას წინ უძღოდა, ერთი მხრივ, საჯარო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, საკანონმდებლო ნორმების და გრანტის გაცემის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის ანალიზი, რომელიც მოპოვებულ იქნა ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად.

მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა სახელმწიფო გრანტების გაცემის დაგეგმვის, გრანტების გაცემის პროცესის და შემდგომი ადმინისტრირების შესწავლა და ანალიზი. ამრიგად, შედეგებზე დაყრდნობით, მოცემული ანგარიში მიმოიხილავს მონიტორინგის პროცესის ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს სახელმწიფო გრანტის გაცემის თითოეულ ეტაპზე და ადგენს შესაბამის რეკომენდაციებს პროცესის ეფექტიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი ანგარიში მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერებას, პროცესის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის. კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია სახელმწიფო გრანტების გაცემის პროცესის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ემსახურება სახელმწიფო გრანტების გამცემი უწყებებისა და გრანტის მიმღები ორგანიზაციების თანამშრომლობის ხელშეწყობას და სახელმწიფო დაფინანსების გაცემის პროცესის გაუმჯობესებას, შედეგად არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გრანტის დაგეგმვა-გაცემის პროცესის გამჭვირვალობის და სახელმწიფო გრანტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

შემოკლებები და ტერმინთა განმარტება

განმარტებები

გრანტი	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა
სახელმწიფო გრანტი	გრანტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაიცა. გრანტის გასაცემად ასევე გამოიყენება არასაბიუჯეტო სახსრები, მაგალითად, დონორი ორგანიზაციიდან მიღებული სახსრები. თუმცა, ეს მეთოდოლოგია ფარავს მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გაცემული საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის საკითხებს.
საჯარო ინსტიტუტი / დაწესებულება / უწყება	საქართველოს სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მთავრობის/ სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგრანტო პროგრამა	გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ
სამართლებრივი აქტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი	გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ
ნორმატიული აქტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

შემოკლებები

ა (ა) იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

I შესავალი

საქართველოში საჯარო უწყებები კომპეტენციის სფეროების მიხედვით გასცემენ გრანტებს საბიუჯეტო სახსრებიდან. დაფინანსების საგრანტო მექანიზმის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მიზნობრიობით მიმართულებითა და კანონმდებლობითვე განსაზღვრული საჯარო უწყებების მიერ.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საჯარო დაწესებულებების მიერ 2019 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების პროცესის მონიტორინგის შედეგებს. კვლევის ფარგლებში შესწავლილია იმ საჯარო უწყებების გამოცდილება, რომლებიც 2019 წელს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გასცემდნენ სახელმწიფო დაფინანსებას.

ანგარიშის მეორე თავი ეთმობა კვლევის მონაცემთა მოპოვებასა და მეთოდოლოგიას, მესამე თავში განხილულია სახელმწიფო გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები. ნაშრომის მეოთხე თავში წარმოდგენილია 2019 წელს გაცემული გრანტების ზოგადი პრაქტიკა/სტატისტიკა. მეხუთე თავი ეძღვნება სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითად დასკვნებს და მიგნებებს, რომლის ქვე-თავებიც შემუშავებულია სახელმწიფო გრანტების მართვის ციკლის ეტაპების შესაბამისად და თითოეულ ეტაპზე წარმოდგენილია შედარებითი პრაქტიკა 2016, 2017 და 2018 წლებში იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა გრანტების ადმინისტრირების განსხვავებული პრაქტიკა 2019 წელთან შედარებით. ხოლო მეოთხე და მეხუთე ქვე-თავებში შეჯამებულია მონიტორინგის ზოგადი მიგნებები და წინა წლებში განხორციელებულ კვლევებთან შედარებითი პრაქტიკის ტენდენციები.

და ბოლოს, მეექვსე თავში შეჯამებულია რეკომენდაციები იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რომლებმაც უკვე გასცეს გრანტი ან გეგმავენ გრანტების გაცემას. ანგარიშს თან ახლავს კვლევის განმავლობაში გამოყენებული წერილების/კითხვარების ნიმუში და მასალების ჩამონათვალი.

II კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მონიტორინგისთვის შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და კვლევის შემდგომი ინსტრუმენტები:

- სამაგიდე კვლევა (მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი);
- საკანონმდებლო ნორმების ანალიზი;
- რაოდენობრივი (online) კვლევა (გრანტის მიმღებ ორგანიზაციებთან);
- ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები (გრანტის გამცემ და მიმღებ ორგანიზაციებთან).

უკვე არსებული ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი განხორციელდა 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ხოლო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები განხორციელდა ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში. კვლევის მიზნისა და ამოცანებისა გათვალისწინებით, სახელმწიფო გრანტების მონიტორინგი განხორციელდა კვლევის მეთოდოლოგიის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით:

1. სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

სამაგიდე კვლევის ფარგლებში მოხდა მეორადი ინფორმაციის თავმოყრა ყველა საჯარო ინსტიტუტის და მათ მიერ გაცემული გრანტების შესახებ. შედეგად, განხორციელდა მიღებული ინფორმაციის სორტირება და თავმოყრა ერთიან მონაცემთა ბაზაში: გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულებების დასახელება, საგრანტო მიმართულებები, გაცემული გრანტების მოცულობები და მიზნობრიობა, გრანტის გაცემის პროცედურები და ა.შ.გრანტის გაცემისა და განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, შესწავლილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტები (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, გრანტის გაცემის წესები და ა.შ.). ინფორმაციის მოპოვების წყაროდ გამოყენებული იქნა საჯარო უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაცია, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ოფიციალური პორტალი. ასევე განხორციელდა ონლაინ რესურსების (საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდები, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული პორტალი) შესწავლა.

ასევე შემუშავდა გაცემული გრანტების მონიტორინგის კითხვარი, რომელიც ოფიციალურ წერილებთან ერთად დაეგზავნათ სახელმწიფო გრანტის გამცემ დაწესებულებებს და მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა 2019 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობის, პროცედურების, გრანტის მიმღები სუბიექტების და შესრულების ინდიკატორების შესახებ.მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდება სახელმწიფო გრანტების რუკა და აღწერილობითი ანგარიში, რომელიც მოიცავს:

1.სახელმწიფო გრანტების გაცემის სამართლებრივი ბაზის მოკლე აღწერას;
2.სახელმწიფო გრანტების გამცემი საჯარო ინსტიტუტების რაოდენობასა და სიას;
3.გაცემული გრანტების რაოდენობას (ცალკეული საჯარო ინსტიტუტების მიხედვით, აგრეთვე ერთობლიობაში ყველა ინსტიტუტის მიერ);
4.გაცემული გრანტის ოდენობას/მოცულობასა და სიას (ცალკეული საჯარო ინსტიტუტების მიხედვით, აგრეთვე ერთობლიობაში ყველა ინსტიტუტის მიერ);
5.გრანტის მიმღები სუბიექტების რაოდენობასა და სიას (ცალკეული საჯარო ინსტიტუტის მიხედვით, აგრეთვე ერთობლიობაში ყველა ინსტიტუტის მიერ).

სამონიტორინგო ობიექტის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, სხვადასხვა კატეგორიის კონკურსები/გრანტები (დიდი,საშუალო, მცირე მოცულობის გრანტები;) თბილისში და რეგიონებში განხორციელებული პროექტები და ა.შ.). განხორციელებული აქტივობების შედეგად მოხდა შერჩევა საგრანტო კონკურსების და დაფინანსებული პროექტების/გაცემული გრანტების სტატისტიკურად ვალიდური რაოდენობა. შედეგად განხორციელდა შერჩეული გრანტების გაცემის პრაქტიკის შესწავლა: გრანტის გაცემის დაგეგმვა; გრანტის გაცემის პროცესი; გაცემული გრანტის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ეს კომპონენტი გულისხმობდა იმის დადგენას, გრანტის გაცემისას საჯარო ინსტიტუტების მიერ რამდენად ხდებოდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა. Mapping_ის ფარგლებში, ძირითადად შესწავლილ იქნა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე (არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე) გრანტის გაცემის კანონმდებლობა და პრაქტიკა. მეორადი ინფორმაციის ძირითადი წყარო იყო გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტების ვებ-გვერდები.
შემუშავდა რაოდენობრივი (online) კვლევის კითხვარი (დანართი 2) და ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელოები (დანართები 3-6).

2. რაოდენობრივი კვლევა

კვლევის არეალის გაფართოების მიზნით დამატებით განხორციელდა რაოდენობრივი (online) კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საკვლევი საკითხების ირგვლივ რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვებას.რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შემუშავდა სტრუქტურირებული თვით ადმინისტრირებადი კითხვარი, რომელიც დაეგზავნა საქართველოში რეგისტრირებულ 100 არასამთავრობო ორგანიზაციას შესავსებად, აქედან კითხვარი შეივსო 50 გრანტის მიმღები ორგანიზაციისა და 50 ორგანიზაციის მიერ, რომელსაც არ მიუღია ან/და მიიღო მონაწილეობა და არ დაფინანსდა საჯარო უწყებების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში. შევსებული კითხვარების მონაცემების შეყვანა მოხდა SPSS-ის ბაზაზე შექმნილ სპეციალური პროგრამის ფორმატში. შემდგომ მოხდა მონაცემთა გაწმენდა და მომზადდა გამომავალი სტატისტიკური ცხრილები, რომელიც გულისხმობს მონაცემების დამუშავებას კითხვების მიხედვით სხვადასხვა ჭრილში.

3. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ერთი მხრივ ჩატარდა, სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტების და გრანტის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ჩაღრმავებული ინტერვიუები, ხოლო მეორე მხრივ ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები გრანტის მიმღებ ა(ა)იპ-ებთან და იმ ა(ა)იპ-ებთან რომელთაც არ მიუღიათ გრანტი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მომზადდა ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელოები. სულ ჩატარდა 21 ჩაღრმავებული ინტერვიუ, კერძოდ, 11 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა გრანტის გამცემ საჯარო უწყებს წარმომადგენლებთან (საგრანტო პროგრამის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან) და 10 ინტერვიუ ჩატარდა ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან (სხვადასხვა დონის მენეჯერთან). ინტერვიუების ჩატარების დროს გაკეთდება აუდიო ჩანაწერი და მომზადდა შესაბამისი ტრანსკრიპტი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა. კერძოდ:

- გრანტის მიმღები ა(ა)იპ-ების შესახებ სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტებისაგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე - 2 ფოკუს ჯგუფი (ელექტრონული Zoom პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც 2019 წელს მიიღეს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და მოიპოვეს დაფინანსება;
- საგრანტო კონკურსში მონაწილეობასა და შემდგომი ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული ბარიერების გამოსავლენად 1 ფოკუს -ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა იმ ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან, რომელთაც კონკურსის შედეგად ვერ მოიპოვეს დაფინანსება;
- 1 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც საერთოდ არ მიუღიათ კონკურსში მონაწილეობა ან/და არ იცნობენ სახელმწიფო დაფინანსების გრანტის მოპოვების გზებს.

კვლევის პირველი ეტაპზე შემუშავდა ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო, საკვლევი საკითხების მოცულობიდან/თავისებურებიდან გამომდინარე, თითოეული ფოკუს- ჯგუფის ხანგრძლივობა განისაზღვრა 1,5 – 2 საათით. ჯგუფური დისკუსიის შეხვედრების დროს გაკეთდა აუდიო ჩანაწერი, შედეგად მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტი.

4. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები

კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები დაკავშირებული იყო კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეულ საქართველოში დაწესებულ შეზღუდვებთან; რის გამოც ორგანიზაციებისა და საჯარო დაწესებულებების დიდი ნაწილი გადასული იყო დისტანციურ მუშაობაზე. შესაბამისად გართულებული იყო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და დროული მიღების შესაძლებლობა. ინფორმაციის გამოთხოვა ოფიციალური წერილების დაგზავნით განხორციელდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორ ეტაპად. კვლევით გუნდს ასევე უწევდა დამატებით სატელეფონო დაკავშირება უწყებებთან, რაც ასევე შეფერხებული და გაძნელებული იყო. შესაბამისად, მეორადი ინფორმაციის მოპოვებას და შემდგომ დამუშავებას თითქმის სამი თვე დასჭირდა.

ასევე შეიძლება დამატებით ფაქტორად აღინიშნოს ქვეყანაში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან, მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა და არაერთგზის დაკავშირებისა ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიღება. აღსანიშნავია, რომ კორონა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების მიზეზით დაგეგმილი კვლევის ფარგლებში, ვერ განხორციელდა რესპონდენტებთან პირისპირ შეხვედრები და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ფიზიკური შეკრება.

აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეამცირა განხორციელებული ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და განსაკუთრებით ფოკუს-ჯგუფებისგან მიღებული ინფორმაციის ხარისხი და თავად ინტერაქციის პროცესი. კვლევის მონაცემთა მოპოვების ეტაპზე განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია რესპონდენტებთან ნდობის ჩამოყალიბება და ინფორმაციის მოწოდებისას უკუკავშირი, რაც ელექტრონული საშუალებების გამოყენებისას მნიშვნელოვნად ფერხდება.

III სახელმწიფო გრანტების გაცემის 2019 წლის პრაქტიკის მიმოხილვა

1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა

საჯარო უწყებების მიერ გრანტის გაცემის ზოგად პრინციპებს, გრანტის გამცემ, მიმღებ ორგანიზაციებსა და გრანტის კატეგორიად მიკუთვნებულ ფინანსური სახსრების ხარჯვას განსაზღვრავს 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, რომელიც შედგება 11 მუხლისგან. კანონში 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით შესულია 29 ცვლილება. ამ მხრივ, მონიტორინგის წინა ეტაპებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. კანონი გრანტს განსაზღვრავს, როგორც გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.გრანტად, ასევე ითვლება „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტი. გრანტად არ არის მიჩნეული სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები, გარდა იმ იურიდიულ პირზე გაცემული სახსრებისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები.გრანტის გაცემის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონის მე-3 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს გრანტის გამცემ პოტენციურ საჯარო დაწესებულებებს:

- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირები;[3]
- საქართველოს სამინისტროები; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები;
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტის გამცემი ორგანო არის საქართველოს სამინისტრო ან საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მათ აქვთ ვალდებულება, რომ გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტი მის გაფორმებამდე განსახილველად წარუდგინონ საქართველოს მთავრობას. თუ გრანტის გამცემები არის აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები, ისინი გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტს გაფორმებამდე განსახილველად წარუდგენენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

[3] გარდა მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, შესაბამისი სპეციალური კანონი ასევე შეიძლება განსაზღვრავდეს გრანტის გამცემ კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მის მიერ გრანტის გაცემის მიმართულებას (მაგ: 1. „მოქალაქეთა პილიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის მდგომარეობით მოქმედი რედაქციის თანახმად, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი განსაზღვრული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტის გამცემად, პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით; 2. „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სააგენტოს უფლება აქვს საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით გასცეს გრანტი).

საქართველოს მთავრობისთვის ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის წინასწარი წარდგენა ხდება შესაბამისი მთავრობის მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით. საქართველოს მთავრობა ან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახდენს გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარ შეფასებას.

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გრანტის გამცემი საჯარო სამართლის იურიდიული პირები დადგენილია საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. ამასთან, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით სსიპ-ს გრანტის გაცემის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე მიმართულებით. გარდა ამისა, მოქმედებს სპეციალური კანონები რომლებიც ასევე ადგენს გრანტის გამცემ კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და მათ მიერ გრანტის გაცემის მიმართულებებს.

ამავე კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს გრანტის მიმღებორგანიზაციებს/ პირებს, მათ შორის:

- საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- საქართველოს მოქალაქე;
- აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- საერთაშორისო ორგანიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირი;
- საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში; და სხვა.

2019 წლის მდგომარეობით იურიდიულ პირებზე გრანტის გამცემის უფლება ჰქონდა მრავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელთაგან მხოლოდ ნაწილს გააჩნდა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გრანტის გაცემის უფლება, ხოლო ნაწილი გრანტს გასცემდა სამეწარმეო იურიდიულ პირებზე ან/და სპეციფიური ხასიათის სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (მაგალითად, მუნიციპალური განვითარების ფონდი საბიუჯეტო სტანდარტის მიხედვით გრანტს გასცემს მუნიციპალიტეტზე ან მუნიციპალურ საწარმოზე). შესაბამისად, კვლევის მიზნიდან გამომდინარე ანგარიშში მოხვდა ის სსიპ-ები, რომელთაც 2019 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ-ებზე გრანტის გაცემის უფლება გააჩნდათ.

ცხრილი #1:

სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებსაც განსაზღვრული მიმართულებით გააჩნდათ ა(ა)იპ-ებზე გრანტის გაცემის უფლება (2019 წლის მდგომარეობით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი	
1. კულტურის ეროვნული ფონდი	საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 5 აგვისტოს #364 დადგენილება "სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს რეორგანიზაციისა და სსიპ - კულტურის ეროვნული ფონდის შექმნის შესახებ. ამ დადგენილებით ფონდი განისაზღვრა გრანტის გამცემად. თუმცა, ამ დადგენილების მოქმედება შეჩერებულია 2021 წლის 1 აპრილამდე.
2. ახალგაზრდობის სააგენტო	არის სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე. მთავრობის დადგენილებით სააგენტო განისაზღვრა გრანტის გამცემად (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილება).
3. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	2019 წლის 1 დეკემბრიდან წარმოადგენს, სსიპ - საარსებო წყაროებზე უზრუნველყოფის სააგენტოს უფლებამონაცვლეს. აგრეთვე სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლეს დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების მიმართულებით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ნოემბრის N553 , 2019 წლის 10 ოქტომბრის N487 და 2016 წლის 16 აგვისტოს N401 დადგენილებები).
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბერის N525 დადგენილება
5. განათლების საერთაშორისო ცენტრი	2016 წლის 31 მარტი - „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა“
6. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბერის N1554 განკარგულება

გრანტის გაცემის პროცედურები, ეტაპები და მიდგომები განსხვავებულია უწყებებისა და გრანტის გაცემის მიზნობრიობის მიხედვით, თუმცა მათი დებულებების/წესის შინაარსობრივი ნაწილი ზოგად კომპონენტებში ერთმანეთს ემთხვევა. საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში გრანტის გაცემის წესისა ან/და საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცება როგორც წესი ხდება სსიპ-ზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი სამინისტროს ან სხვა უწყების/ორგანოს მიერ, მაგალითად სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამტკიცებს წესს/დებულებას შესაბამისი ბრძანებით. თუმცა, უშუალოდ გრანტის გამცემად მათი (სსიპ-ების) განსაზღვრა ხდება საქართველოს მთავრობის ან სპეციალური კანონის მიერ.

სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის წესები და პროცედურები რიგ საკითხებში განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ამ პროცესის ძირითადი სქემა მსგავსია. შესაძლებელია განსხვავებული იყოს კონკურსის ვადები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო (მაგ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს - დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი). თითოეული უწყებისთვის განსაზღვრულია გრანტის გაცემის პრინციპები, რაც გულისხმობს თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპების დაცვას. საგრანტო კონკურსისთვის დაფინანსების წყაროს შესაძლებელია წარმოადგენდეს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსები. ჩვენი კვლევის მიზანს კვლევის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში გაცემული სახელმწიფო გრანტების მონიტორინგი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მაგალითი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესი, მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N160 ბრძანება).

გრანტის გაცემის პროცესი იუსტიციის სამინისტროს სისტემაში იწყება სამინისტროს ადმინისტრაციი(დეპარტამენტის) ან/და სამინისტროს სისტემაში არსებული კონკრეტული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (მინისტრის მიერ დამტკიცებული გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული კონკრეტული სსიპ) მხრიდან საგრანტო პროგრამის შემუშავებითა და მინისტრისთვის წარდგენით. საგრანტო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დასახელებას, რომელთა გადასაწყვეტად გამიზნულია სამინისტროს მიერ გრანტის გაცემა;
- გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობას;
- საგრანტო ვადას;
- დაფინანსების ზღვრულ ოდენობას;
- ცალკეული საგრანტო წინადადებების დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
- დაფინანსების წყაროს.

საგრანტო პროგრამა მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რის საფუძველზეც იქმნება საგრანტო საბჭო. საგრანტო საბჭო უძღვება საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ პროცესებს, როგორიცაა კონკურსის შესახებ განცხადების შედგენა და გამოქვეყნება, განაცხადების მიღება, განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა. ასევე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საბჭოს შექმნის ვადა და შემადგენლობა, საბჭოს სარეზერვო წევრებთან ერთად. საბჭოს გადაწყვეტილებები ისახება საბჭოს სხდომის ოქმში, რომელიც არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს ეგზავნება გრანტის გამცემს. საბჭოს გადაწყვეტილება აგრეთვე ქვეყნდება. საბჭოს აპარატი ახორციელებს საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

გრაფიკი #1:

საგრანტო კონკურსის გამოცხადების და შერჩევის ეტაპები

კონკურსის გამოცხადება

საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება კონკურსის გამოცხადების შესახებ, შერჩევის კრიტერიუმების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დადგენა.

განცხადების გამოქვეყნება

კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება, გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, განაცხადის მიღების ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა 5 სამუშაო დღით ადრე.

საგრანტო განაცხადის წარდგენა

საგრანტო განაცხადების და საბჭოს მიერ განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

განაცხადის შერჩევა/შეფასება

დისკვალიფიცირებული, განსახილველი და ტექნიკურ ხარვეზიანი (ექვემდებარება გამოსწორებას) განაცხადები. შეფასება ხდება ყველა წევრის მიერ ცალ-ცალკე, საბოლოო შეფასებისთვის გამოიყენება ქულათა სისტემა, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების პროექტზე თანხმობას გასცემს საქართველოს მთავრობა ან პრემიერ-მინისტრი, თანხმობის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში იდება ხელშეკრულება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

7. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 სექტემბერის N543 დადგენილება
8. საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	„მოქალაქეთა პილიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30[1] 2019 წლის მდგომარეობით მოქმედი რედაქციის თანახმად, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი განსაზღვრული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტის გამცემად, პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით. 2020 წლის 2 ივლისის N6724 საკანონმდებლო ცვლილებებით (ძალაში შევიდა პარლამენტის მომდევნო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან), გაუქმდა ეს უფლებამოსილება.
9. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	2010 წლის 10 სექტემბერი - სამეცნიერო გრანტების გაცემის უფლებამოსილება
10. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის (25/05/2012, N6319-Iს) მე-9 მუხლი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამინისტროებს გრანტის გაცემამდე ვალდებულება ეკისრებათ შეათანხმონ გრანტის გაცემის მიზნობრიობა, კონკრეტული საჭიროება, გრანტის მოცულობა და გრანტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური დოკუმენტები საქართველოს მთავრობასთან (თუ გრანტის მოცულობა 50 000 ლარს აღემატება) ან საქართველოს პრემიერ მინისტრთან (თუ გრანტის მოცულობა არ აღემატება 50 000 ლარს). აღნიშნული პროცესი რეგულირდება 2011 წლის 14 მარტის 126 დადგენილებით. დადგენილება ასევე განსაზღვრავს, რომ 50 000 ლარზე მეტი მოცულობით გრანტის გაცემის შემთხვევაში, სამინისტროებს დამატებით სჭირდებათ ფინანსთა სამინისტროს დასკვნა. დადგენილებებით არ რეგულირდება კონკრეტული ვადები, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს ერთის მხრივ, სამინისტროების მხრიდან დოკუმენტების მთავრობისთვის წარდგენა, ხოლო მეორეს მხრივ, მთავრობის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის მიწოდება სამინისტროებისთვის. ვადების წინასწარ არ განსაზღვრამ შესაძლოა გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული საქმიანობების შედეგიანად განხორციელებაზე მოახდინოს გავლენა და გრანტის მიმღებ და გამცემ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ეფექტიანობა შეამციროს.

საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: (1)გრანტის გამცემის შესახებ; (2)სფეროს დასახელება, საქმიანობის/მომსახურების აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით; (3)საკვალიფიკაციო მოთხოვნები; (4)შეფასების კრიტერიუმები; (5)საგრანტო ვადა; (6)გრანტის მაქსიმალური ოდენობა; (7)საგრანტო წინადადება და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა; (8)განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი. საგრანტო განაცხადების/წინადადებების შეფასების მინიმალური კრიტერიუმებია: (1)დასმული საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის მეთოდი; (2)საგრანტო წინადადების შესრულების ვადა; (3)ადამიანური რესურსების გამოცდილება. შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს საგრანტო განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.საგრანტო პროცესის ნაწილს წარმოადგენს მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიშების საფუძველზე. გრანტის მიმღები - ვალდებულია გამოუყენებელი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააბრუნოს. კვლევამ მოიცვა ის დაწესებულებები, რომლებმაც 2019 წელს ა(ა)იპ-ებზე გასცეს გრანტი. შესაბამისად, კვლევამ არ მოიცვა ცხრილ #1-ში წარმოდგენილი ყველა სსიპ.

ცხრილი #2:

საჯარო უწყებების ჩამონათვალი რომლებმაც ა(ა) იპ-ებზე გასცეს გრანტი 2019 წელს

2019 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება	გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი 2019 წელს
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის NN389 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N160 ბრძანება„საქართველო იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიგრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის N01-11/201 ბრძანება; მინისტრის 2019 წლის 7აგვისტო N01-11/218 ბრძანება; მინისტრის 2019 წლის 28 ოქტომბრის N01-11/310 ბრძანება; 2019 წლის 17 აპრილის ბრძანება N 01-11/91 სამინისტროს პროგრამის,, კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ,,კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა" კომპონენტის ,,თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა" ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენის, გრანტის სახით თანხის გამოყოფისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ; 2019 წლის 22 მაისის ბრძანება №01-11/130

IV 2019 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკა

კვლევის ფარგლებში, სახელმწიფო გრანტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მოხდა დაკავშირება (ოფიციალური წერილით მიმართვა) 30 საჯარო უწყებასთან. მათგან 20-მა უწყებამ მოახდინა საჯარო წერილით ინფორმაციის გაზიარება, საიდანაც გამოვლინდა, რომ რვა საჯარო უწყებამ 2019 წელს გასცა სახელმწიფო გრანტი ა(ა)იპ-ებზე.

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
4. სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“;
5. სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრი“;
6. სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“;
7. სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“;
8. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 2019 წელს სამთავრობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში, გააფორმა მხოლოდ ერთი საგრანტო ხელშეკრულება ა(ა)იპ „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისათვის“, რომლის ერთ-ერთ თანადამფუძნებელიც არის სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საგრანტო თანხამ შეადგინა 350 000 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ გრანტი გაიცა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სამთავრობო ინიციატივის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაფუძნებულ ფონდზე, აღნიშნულთან დაკავშირებით კონკურსი არ გამოცხადებულა. ინფორმაციის დამუშავების შედეგად დადგინდა დასამონიტორინგებელი უწყებების და პროექტების სია. მათი ჩამონათვალი და 2016-2019 წლებში გაცემული გრანტების ჯამური ღირებულებები მოცემულია ცხრილში #3.

2019 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება	გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი 2019 წელს
სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი	„სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №201 დადგენილება
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2019 წლის 25 თებერვლის N18-ს ბრძანება და ბრძანებით დამტკიცებულ მცირე გრანტის გაცემის წესი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2019 წლის 16 დეკემბრის N2618 საქართველოს მთავრობის განკარგულებასა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2019 წლის 20 დეკემბრის N117 ბრძანება
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019 წლის 3 აპრილის N01-31/ნ ბრძანებით დამტკიცებული გრანტის გაცემის წესი
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 2011 წლის 16 თებერვალი ქ. თბილისი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 7/2012 2012 წლის 3 თებერვალი ქ . თბილისისაჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

ცხრილი #3:

გაცემული სახელმწიფო გრანტების სტატისტიკა 2016, 2017, 2018, და 2019 წლების მიხედვით

გრანტის გამცემის საჯარო დაწესებულება	დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში			
	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
საქართველოს იუსტიციის საინისტრო	312,382	163,888	180,000	48,548[4]
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1,130,405	2,083,551	2,204,769	2,380,352.7
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	600,000	590,000	650,000	700,000
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შენიშვნა: საგრანტო კონკურსი არ გამოცხადებულა, მოხდა პირდაპირი დაკონტრაქტება)	-------	-------	-------	350,000
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	14,000	8,600	39,283	33,157.9
სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი (შენიშვნა: 2019 წელს საგრანტო კონკურსი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე გრანტის გაცემის მიზნით არ გამოცხადებულა ,დაფინანსება მოხდა მემორანდუმის ფარგლებში)	-------	-------	-------	150,000
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	2,082,506	2,399,014	2,381,571	2,352,305.5
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	არ გაუცია	არ გაუცია	9,152	185,444
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	არ გაუცია	276,090	281,999	არ გაუცია
სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო (2019 წლამდე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის უფლება მონაცვლე)	1,049,967.78	743,837.95	არ გაუცია	არ გაუცია
სულ:	5,189,262	6,264,975	5,746,774	6,199,808

[4] 2019 წლის მაჩვენებელი მოიცავს მხოლოდ 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებას. ინფორმაციის მოპოვება / გადამოწმება საჯარო უწყებასთან კვლევის პროცესში ვერ განხორციელდა

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2019 წელს რვა უწყებამ გააფორმა სულ 176 საგრანტო ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 6 199 808.07 მლნ. ლარს. 2019 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობაც და ჯამურად გრანტად გაცემული ბიუჯეტიც. 2019 წელს სულ საბიუჯეტო სახსრებიდან გრანტად გაცემული თანხა დაახლოებით 8%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს, თუმცა დაახლოებით 1%-ით ნაკლებია 2017 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გრანტის გამცემი საჯარო უწყებებიდან ორს არ გაუცია გრანტი, თუმცა ამასთან, 2019 წელს დამატებით სხვა ორმა საჯარო უწყებამ გასცა გრანტი, რის შედეგადაც გრანტის გამცემი უწყებების რაოდენობა არ შეცვლილა.2019 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების ბაზის შექმნის შემდეგ შემუშავდა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩა დასამონიტორინგებელი საგრანტო ხელშეკრულებების სია. ეს კრიტერიუმებია:

- გრანტის გაცემის მიზანი;
- 2019 წელს გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა;
- კონკურსში მონაწილე ა(ა)იპ-ების რაოდენობა
- 2019 წელს გაცემული გრანტების რაოდენობა (საგრანტო ხელშეკრულებები)
- შეწყვეტილი საგრანტო ხელშეკრულებები
- საგრანტო კონკურსის გამოცხადების მექანიზმები (ვებგვერდი, სოცმედია, jobs.ge, hr.ge, csogeorgia.org, procurement.gov.ge, TV)
- გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადის შეტანის მინიმალური ვადა
- საგრანტო კომისიის მინიმალური შემადგენლობა
- საგრანტო განაცხადების მიღების ფორმა
- საგრანტო განაცხადების განხილვის ვადა
- გადაწყვეტილების მიღების წესი/საშუალო ქულის ბარიერი

ცხრილი #4:

2019 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობა და სტატისტიკა

	გრანტის გაცემის მიზანი	2019 წელს გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	კონკურსში მონაწილე ა(ა)იპ-ების რაოდენობა	2019 წელს გაცემული გრანტების რაოდენობა (საგრანტო ხელშეკრულებები)
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ყოფილი პატიმრებისათვის და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანთათვის ტატუს მოშორება	1	1	1
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	-სამეცნიერო კვლევები; -მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი; -მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი; საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი	14	N/A	55
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა	2	N/A	7
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შენიშვნა: საგრანტო კონკურსი არ გამოცხადებულა, მოხდა პირდაპირი დაკონტრაქტება)	სამშვიდობო ინიციატივა	გრანტი გაიცა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, თუმცა კონკურსი არ გამოცხადებულა.	1	1
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	საგანმანათლებლო	6	N/A	7
სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი	2019 წელს საგრანტო კონკურსი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე გრანტის გაცემის მიზნით არ გამოცხადებულა; ერთი გრანტი გაიცა მემორანდუმის ფარგლებში			

	გრანტის გაცემის მიზანი	2019 წელს გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	კონკურსში მონაწილე ა(ა)იპ-ების რაოდენობა	2019 წელს გაცემული გრანტების რაოდენობა (საგრანტო ხელშეკრულებები)
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	-ამომრჩეველთა ინფორმირება 2019 წლის მაისში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, საკრებულოს შუალედური და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის; -ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; -ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის	3	110	94
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	- საგანმანათლებლო; - კულტურა	3	N/A	10

ცხრილი #5:

2019 წელს გაცემული გრანტების გამოცხადების მექანიზმები

	საგრანტო კონკურსის გამოცხადების მექანიზმები	საგრანტო გაცემის წესით განსაზღვრული სგრანტო განაცხადის შეტანის ვადა	საგრანტო კომისიის მინიმალური შემადგენლობა	საგრანტო განაცხადების მიღების ფორმა	საგრანტო განაცხადების განხილვის ვადა	გადაწყვეტილების მიღების წესი/ საშუალო ქულის ბარიერი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ვებგვერდი	არანაკლებ 5 სამუშაო დღისა	სულ მცირე 5 წევრი	განაცხადები მიიღება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პორტალის საშალებით	10 სამუშაო დღე	საშუალო არითმეტიკული
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვებგვერდი; სოცმედია	ყველა კონკურსს ცალკე განსაზღვრული ვადები აქვს	არ არის დადგენილი მინიმალური რაოდენობა	www.gmus.rustaveli.org.ge	არ არის განსაზღვრული	განსხვავებულია კონკურსის მიხედვით

	საგრანტო კონკურსის გამოცხადების მექანიზმები	საგრანტო გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადის შეტანის ვადა	საგრანტო კომისიის მინიმალური შემადგენლობა	საგრანტო განაცხადების მიღების ფორმა	საგრანტო განაცხადების განხილვის ვადა	გადაწყვეტილების მიღების წესი/ საშუალო ქულის ბარიერი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	www.moh.gov.ge	გამოცხადებიდან 10 დღე	დადგენილი 8 წევრი	დალუქული კონვერტის სახით	საშუალოდ 10 დღე	კრიტერიუმებს ადგენს საგრანტო კომისია საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შენიშვნა: საგრანტო კონკურსი არ გამოცხადებულა, მოხდა პირდაპირი დაკონტრაქტება)	გრანტი გაიცა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, თუმცა კონკურსი არ გამოცხადებულა.					
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	www.grants.gov.ge	ქვეყნდება თვის პირველ რიცხვში და თვის დასრულებამდე შესაძლებელია საგრანტო განაცხადების მიღება.	შიდა საგრანტო კომისია (4 პირი)	www.grants.gov.ge ბეჭდვითი ფორმით	1 თვე (მაქსიმუმ 3 თვე)	სამგზავრო და ღონისძიების გრანტით დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსესუსის გზით (ერთხმად).
სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი	2019 წელს საგრანტო კონკურსი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე გრანტის გაცემის მიზნით არ გამოცხადებულა; ერთი გრანტი გაიცა მემორანდუმის ფარგლებში					
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	www.electionreforms.ge www.cesko.ge	დადგენილი 13 დღე გამოცხადებიდან	კომისია დაკომპლექტდა აკადემიური სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და სახაზინო/ საბიუჯეტო დაწესებულებების წარმო-მადგენლებით.	ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)	არ არის განსაზღვრული	დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	www.adjara.gov.ge	არ არის განსაზღვრული მინიმალური ვადა	სულ მცირე 4 წევრი	სამინისტროს კანცელარიაში ფიზიკური ფორმით	არ არის განსაზღვრული	არ არის განსაზღვრული

V სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და მიგნებები

საჯარო ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო დაფინანსების გაცემის მონიტორინგი განხორციელდა სახელმწიფო გრანტების მართვის ციკლის შესაბამისად (იხ. დიაგრამა #1), რომელიც სამ ძირითად ეტაპად იყოფა: გრანტების გაცემის დაგეგმვა, გრანტების გაცემის პროცესი და გრანტების მონიტორინგი და შეფასება.

დიაგრამა #1:

სახელმწიფო გრანტების მართვის სტილი



განხორციელებული სამაგიდე, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები გაანალიზებულია აღნიშნული გრანტების მართვის ციკლის ეტაპების შესაბამისად. თითოეული ეტაპის შესწავლა განხორციელდა, როგორც მეორადი მოპოვებული საჯარო ინფორმაციის შედეგად, ასევე საჯარო უწყებებისა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით და ფოკუს ჯგუფების შეხვედრებით მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე. კვლევის ძირითადი მიგნებებიც წარმოდგენილია გრანტის გაცემის ეტაპების შესაბამისად. თითოეული მიგნების განხილვისას კი გათვალისწინებულია სახელმწიფო გრანტის გამცემი დაწესებულებებისა და ა(ა)იპ-ების გამოცდილება, ხედვა და დამოკიდებულებები. ასევე წარმოდგენილი კვლევის ეტაპზე გამოკვეთილი ზოგადი სახის მიგნებები, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზოგადი დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას.

კვლევამ მოიცვა იმ საჯარო უწყებების მიერ გაცემული გრანტების მონიტორინგი, რომელთაც 2019 წელს ა(ა)იპ-ებზე გასცეს გრანტი და რომელთა შესახებაც მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება. გრანტის გაცემის დაგეგმვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რომლის დროსაც საჯარო ინსტიტუტების გრანტებზე პასუხისმგებელმა შესაბამისმა პირმა თუ სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს გრანტის გაცემის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია და განსაზღვრავს გარკვეულ ჩარჩო პირობებს კონკურსის გამოცხადებიდან გრანტის შესრულებისა და მიღება-ჩაბარების ეტაპის ჩათვლით. გრანტის გაცემის დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მიზნობრიობის განსაზღვრა და საჯარო უწყების საქმიანობის ძირითად მიმართულებასთან და კომპეტენციებთან, პრიორიტეტებთან და თემატიკასთან შესაბამისობა. თითოეულ საგრანტო კონკურსს ჰქონდა განსაზღვრული შესაბამისი მიზანი, რომელიც ემსახურებოდა გარკვეული პრობლემის გადაჭრას ან ემსახურებოდა გარკვეული ჯგუფის ხელშეწყობასა და მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საგრანტო კონკურსის მიზნისა და ზოგადად საჭიროების დასაბუთება ძირითად შემთხვევაში შესაბამისი კვლევითი დოკუმენტით ან მონაცემებით არ იკვეთაბა და არ დასტურდება. ზოგიერთი უწყების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ:„საგრანტო წესით დასაფინანსებელი ღონისძიებები შეირჩევა განათლებისა და კულტურის დეპარტამენტების გასული წლების პროგრამული ანგარიშების კვლევის საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიკვეთება საზოგადოებრივი საჭიროებები. სამინისტროს საბიუჯეტო პროგრამებით განსაზღვრულია საგრანტო წესით დაფინანსებას დაქვემდებარებული მიმართულებები. პრიორიტეტები ყოველწლიურად განიხილება საჯაროდ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა მონაწილეობით“.ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლების მიერ წინა პერიოდში გაცემული გრანტების პროგრამული ანგარიშებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების გათვალისწინება ხდება შემდგომი საგრანტო კონკურსის შინაარსის დაგეგმვისას. თუმცა, ძირითად შემთხვევაში, უშუალოდ საგრანტო კონკურსის აღწერის ნაწილში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გრანტის მიზნის თუ პრიორიტეტების განსამტკიცებლად, დასასაბუთებლად და საჭიროების კარგად წარმოსაჩენად, რაც შემდგომში კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს ხელს შეუწყობდა პრობლემის დასაბუთების, გარემოს შეფასების აღწერასა და საგრანტო აქტივობების საჭიროების გაცნობიერებასა და დასაბუთებაში, შესაბამისად პროექტების ამოცანებისა და აქტივობების მართლზომიერ დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის ეტაპზე მსგავსი კვლევების ვალდებულება საჯარო უწყებას შესაბამისი დებულებებიით არ ეკისრება, თუმცა საგრანტო კონკურსის მონაწილეებთან შედეგებზე ორიენტირებული თანამშრომლობისთვის საჭირო იქნებოდა აღნიშნულ ეტაპზევე მონაცემთა მოპოვება და გაზიარება, რათა კონკურსებში მონაწილე ორგანიზაციებისათვის კარგად აღქმული და გააზრებული იყოს საგრანტო კონკურსის საჭიროება, მიზნობრიობა და საფუძველი. საჯარო უწყებების მხრიდან გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ვადები იყო ძალიან შეზღუდული დროში, რას კვლევის რესპონდენტი ორგანიზაციების მიერ კონკურსებში მონაწილეობის მიღების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება, გარდა სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მცირე გრანტების კონკურსისა, რომელიც ღია ფორმატით ცხადდება: „პროექტები ერთმანეთს არ დარდება. სულ ღია გვაქვს საგრანტო კონკურსი და პირობითად ხუთი აპლიკაცია რომ გროვდებოდა ჩვენ უკვე კომისიას ვნიშნავდით. და შესაბამისად, რანჟირება არ იყო საჭირო. კომისია იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას“.

გრანტის გაცემის დაგეგმვისას უწყებების მხრიდან საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვა მოხდა ყველა პროექტის შემთხვევაში, თუმცა ვალდებულებების შესრულების გარდა, პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად ინდივიდუალურ და განსხვავებულ ინიციატივებს ნაკლებად ვხვდებით. 2016 წლიდან დღემდე, საგრანტო კონკურსების მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები თითქმის უცვლელად ნარჩუნდება წლიდან წლამდე და დაკავშირებულია უწყების უშუალო საქმიანობის და კომპეტენციების სფეროსთან. მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, რომლის ფარგლებში გამოკითხულ იქნა მათ შორის ის ორგანიზაციები, რომელთაც მიიღეს გრანტების სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებიდან, ყველაზე მეტად 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (საგრანტო პროექტის თუ ტენდერის სახით) დაფინანსდნენ ის ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი სამიზნე ჯგუფები იყო ახალგაზრდები, ქალები, მედია ორგანიზაციები და შშმ პირები და რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოციალური პროექტების განხორციელებაზე.

ცხრილი #6:

ორგანიზაციები, სამიზნე ჯგუფები და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაცემული გრანტები

სამიზნე ჯგუფი/ დაფინანსების წყარო	სახელმწიფო სტრუქტურების (სამინისტრო, სსიპ და სხ.) მიერ გაცემული გრანტი	სახელმწიფო სტრუქტურების ტენდერი / სერვის კონტრაქტი
ახალგაზრდები	85%	86,5%
ქალები	62,5%	62,2%
მედია ორგანიზაციები	47,5%	43,2%
შშმ პირები	30%	32,4%
იძულებით გადაადგილებული პირები	25%	16,2%
ბავშვები	17,5%	10,8%
მცირე და საშუალო ბიზნესი	17,5%	10,8%
სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლობა	7,5%	16,2%
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები	2,5%	5,4%

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტები, მათი პროექტების ძირითადი ნაწილი ეხმიანებოდა ისეთ საკითხებს როგორიცაა ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება, განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივ გამოწვევებზე ცნობიერების ამაღლება, ხოლო ყველაზე ნაკლებ სიხშირით 2019 წელს დაფინანსდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ყოფილ პატიმართა ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა.

დიაგრამა #2:
განხორციელებული პროექტების მიზნობრიობა



აღსანიშნავია, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ორგანიზაციების მხრიდან არ სახელდება გამოწვევად. პირიქით, მათი შეფასებით საგრანტო კონკურსების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია უდავოდ ხელმისაწვდომია სხვადასხვა სივრცეებში. მათთვის ხელმისაწვდომი იყო საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები, როგორიცაა: განაცხადისა და ბიუჯეტის ფორმა; კონკურსში მონაწილეობის პირობები; წარსადგენი დოკუმენტების სია; შეფასების კრიტერიუმები; გადაწყვეტილების მიღების პროცესი/ეტაპები; დოკუმენტაციის წარდგენის ვადები და ფორმა; გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია. შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა შეფასების კრიტერიუმებთან და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ცხრილი #8:
საპროექტო განცხადების ფორმების ხელმისაწვდომობა

	ქალაქად
განაცხადის ფორმა	100%
კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები	97.7%
გასაჩივრების პროცედურები	93%
წარსადგენი დოკუმენტები	90.7%
ვადები	72.1%
განაცხადის შეფასების კრიტერიუმები	65.1%
გადაწყვეტილების მიღების პროცედურები	65.1%

ა(ა)იპ-ების წარმომადგენლების შეფასებით, ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგრანტო განაცხადების წარდგენის ვადები საკმაოდ მოკლეა და მათთვის რთულია სრულყოფილი, ხარისხიანი განაცხადის ასეთ ვადებში წარდგენა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ინფორმაციას კონკურსისგამოცხადების დღესვე არ იღებენ. შესაბამისად კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მიღების დროულობა შეიძლება ერთ-ერთ გამოწვევად იქნას მიჩნეული შეზღუდულ ვადებთან ერთად.„ზოგჯერ მხოლოდ 1 კვირა არის ვადა. ამ პერიოდში საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის გაკეთებაც კი ვერ ხერხდება და გამართული პროექტის მომზადება და დაწერა ასეთ მოკლე დროში საკმაოდ რთულია“. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო უწყებების წარმომადგენლები ინფორმაციის მიწოდების არასავალდებულო ფორმებსაც იყენებენ, როგორიცაა სატელეფონო კონსულტაციები; ელ-ფოსტაზე ინფორმაციის დაგზავნა და კითხვების მიღება და სხვა. საჯარო უწყებების მხრიდან განმარტებების მიღების მხრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს პრობლემა არ შექმნიათ.

1.საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი

მონიტორინგის მეორე ეტაპმა მოიცვა საჯარო უწყებების მხრიდან გრანტის გაცემის პროცესის ანალიზი, რისთვის შესწავლილ იქნა პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, აღნიშნული აქტებით განსაზღვრული გრანტის გაცემის პროცედურები. გრანტის გაცემის პროცესი მოიცავს: კონკურსის გამოცხადებას; ინფორმაციის გავრცელებას; შემფასებელი კომისიის ჩამოყალიბებას; განაცხადების მიღება / შეფასებას; გასაჩივრებისა და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპებს.

1.1 საგრანტო კონკურსის გამოცხადება

2019 წელს გაცემული გრანტების შესახებ შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცის თანახმად და დამატებით სამაგიდე კვლევის საფუძველზე შეფასდა გრანტის გაცემის პროცესი, რაც მათ შორის მოიცავდა კონკურსის გამოცხადების მნიშვნელოვან ეტაპს. კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურები რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.კვლევის რესპონდენტების ერთ-ერთი მოთხოვნა საპროექტო წინადადების გამოქვეყნების და საგრანტო კონკურსების გამოცხადების მიმართ არის მისი საჯაროობა და ხელმისაწვდომობის გაზრდა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნულისთვის უწყებები იყენებენ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიას. ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყაროების გარდა, ინფორმაციის განთავსება ხდება საგრანტო პორტალზე (www.grants.gov.ge), რომლის ძირითადი მომხმარებლები სწორედ ა(ა)იპ-ები არიან. ასევე, რეგიონებში ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მაგალითად GITA-ს წარმომადგენლები ტექნო-პარკებისა და ინოვაციური ჰაბების რესურსს იყენებენ. ასევე, ხდება სხვადასხვა ვებ-გვერდებით და პორტალებით სარგებლობა, როგორიც არის www.jobs.ge; csogeorgia.org, და სხვა. რაც კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და ფართოდ გამოყენებადი. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი დამატებით ატარებს ღია კარის დღეს, სადაც კონკურსის მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების ეტაპზე. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, იმ ორგანიზაციების ძირითადმა ნაწილმა, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო გრანტი აღნიშნეს, რომ მათთვის ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენდა მედია საშუალებები, სოციალური ქსელები და საინფორმაციო ბუკლეტები.

ცხრილი #7:
გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები

	ქალაქად	სოფლად
მედია საშუალებები (ტრადიციული და ონლაინ)	100%	89%
სოციალური ქსელები	100%	84%
საინფორმაციო ბუკლეტები, ლიფლეტები	100%	67%
ვებ-გვერდი	98%	74%
სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა	93%	67%

[5] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, საგრანტო კონკურსს აცხადებს და განაცხადებს იღებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

1.2 საგრანტო განაცხადების მიღება და შეფასება

გრანტის გაცემის პროცესის მნიშვნელოვან საფეხურს განაცხადების მიღებისა და შეფასების ეტაპი წარმოადგენს. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2019 წლიდან გადავიდა ელექტრონულ სისტემაზე და საგრანტო განაცხადის და სხვა თანდართული დოკუმენტების მიღება ხდება ელექტრონული ფორმით. იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში რაიმე ხარვეზია, კონკურსის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი უკავშირდება ორგანიზაციებს და აძლევს ერთი კვირის ვადას ხარვეზების გამოსწორების მიზნით. საგრანტო კონკურსში მონაწილე ყველა ორგანიზაციის სრულყოფილი დოკუმენტაცია ეგზავნება საგრანტო კომისიას, რომელიც წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს თითოეულ განაცხადს. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია იდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო საგრანტო განაცხადებს იღებს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით www.grants.gov.ge. განმცხადებელი საგრანტო პორტალზე ავსებს საგრანტო განაცხადს ელექტრონულ ფორმატში. აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი უფლებამოსილია წარადგინოს ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი. გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსებას ექვემდებარება მხოლოდ ერთი საგრანტო პროექტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი განაცხადების მიღებისა და ზოგადად საგრანტო კონკურსის მართვის მიზნით იყენებს გრანტების მართვის ერთიან სისტემას (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. კონკურსანტები სწორედ აქ ტვირთავენ საკონკურსო დოკუმენტაციას. ელექტრონული ფორმატი ყველასთვის მისაღებ და ყველაზე მეტად მოსახერხებელ ფორმად დასახელდა. განაცხადების მიღების შემდეგ ხდება ფორმალური და ტექნიკური შესაბამისობის დადგენა, რაც გულისხმობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საგრანტო განაცხადის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნებთან თანხვედრის შეფასებას. ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს საგრანტო კონკურსში მონაწილეობა, თუმცა ვერ დაფინანსდნენ და ასევე იმ ორგანიზაციებმა რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა საგრანტო კონკურსებში, ძირითად მიზეზად დაასახელეს მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არ ქონა და რომ ვერ აკმაყოფილებდნენ ორგანიზაციების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

1.3 შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება

შესწავლილი პროექტების საგრანტო კონკურსის შეფასების ყველა შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის კოლეგიური ერთეული კომისია/საბჭო. სამართლებრივი აქტით არის გაწერილი თუ ვინ შეიძლება იყოს კომისიის/საბჭოს წევრი. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შემთხვევაში ყოველ კონკურსზე იქმნებოდა ახალი კომისია და ატარებდა როტაციული ხასიათს, საგრანტო კომისიის წევრები იყვნენ: საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლები. კომისია ორ ნაწილად იყოფა: კომისიის წევრები, რომლებიც გადაწყევტილებას იღებენ და კომისიის სამი წევრი, რომელიც არ იღებს გადაწყევტილებას, თუმცა ეს წევრები მონიტორინგს უწევენ დანარჩენი კომისიის მუშაობის პროცესს. შეფასება ხდება ქულების პრინციპით.

„წევრების რაოდენობა არ არის შეზღუდული, შეიძლება იყოს 18 წევრი, შეიძლება იყოს 7. კომისიის შემადგენლობა არ არის კონფიდენციალური მხოლოდ ექსპერტების ვინაობაა კონფიდენციალური. საგრანტო კომისიის წევრები შერჩევა ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, ფონდს აქვს სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, საიდანაც კონკურსის მიხედვით ირჩევა ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით ექსპერტები და კომისიის წევრები. კომისიის მდივანი და თავჯდომარეც ირჩევა, რომელიც კომისიის ოქმსა და სხვა დოკუმენტაციას აღრიცხავს“.

საგრანტო კომისიას ძირითად შემთხვევაში სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არ აქვს ის ვადა რა ვადაშიც უნდა მოხდეს გამარჯვებული განაცხადის გამოვლენა. სხვადასხვა პროექტებისათვის ხანგრძლივობა განსხვავებულია. მაგალითად, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსის შემთხვევაში ამ პროცესმა შესაძლოა 3-4 თვე მოიცვას, GITA-ს მცირე გრანტების კონკურსის შემთხვევაში ეს პერიოდი საშუალოდ 1 თვეს მოიცავს, მაშინ როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში საშუალოდ - 10 დღეს.

1.4 საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და გასაჩივრება

საკონკურსო განაცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა და საჯარო უწყებების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ეტაპის შეფასება ეფუძნება დოკუმენტების ანალიზს. ყველა შესწავლილი საგრანტო კონკურსების ეტაპზე მონაწილე ორგანიზაციებისათვის წინასწარ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა ორგანიზაციებს ხელს უწყობს არამხოლოდ ობიექტურად შეაფასონ საკუთარი განაცხადები, არამედ თავად გააუმჯობესონ, სწორად დაგეგმონ და შეიმუშავონ საპროექტო განაცხადები. განაცხადების შეფასებისას ყველა საჯარო უწყება იყენებს ქულათა სისტემას, რაც მონაწილე ორგანიზაციებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია და ზრდის მათ სანდოობას კომისიის გადაწყვეტილების მიმართ. შეფასებები არის კომისიების სხდომის ოქმის ნაწილი და ქვეყნდება უწყების მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით. თუმცა გადაწყვეტილებების შინაარსობრივი დასაბუთება, კომენტარის სახით დადგენილებებით არ არის მოთხოვნილი. გრანტის გამცემ საჯარო უწყებები სრულად იცავენ მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ საკითხებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ოქმი. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და გრანტის გამცემი საჯარო უწყების უკუკავშირი, განსაკუთრებით მათთვის ვინც მიიღო კონკურსში მონაწილეობა და არ დაფინანსდა.
აღნიშნული ამცირებს სახელმწიფო გრანტების მიმართ მონაწილე პირების სანდოობას და ზრდის სკეპტიციზმს. რესპონდენტების ნაწილის მოსაზრებით გადაწყვეტილებები ხშირად სუბიექტურია, მიუხედავად ქულათა სისტემის არსებობისა დამოკიდებულია საჯარო უწყების ორგანიზაციების მიმართ არსებულ დამოკიდებულებაზე. „მართლა გვქონია, რამდენჯერმე ისეთი პრაქტიკა, რომ რეალურად პროექტი ყველანაირ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, მაგრამ ალბათ იმიტომ რომ რაღაც სიმპათიების მიხედვით გადაწყდა, არ დაფინანსდა ესა თუ ის პროექტი.“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაშიც საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, მინისტრი ქმნის საგრანტო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სამინისტროს თანამშრომლები, სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. კომისია განსახილველად მიღებული საგრანტო წინადადების დეტალურ შესწავლას და შეფასებას ახდენდა პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც ფასდებოდა კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საფუძველზე. კომისია გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე, არაუმეტეს 1 კვირის ვადაში, წარუდგენდა მინისტრს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილება განმცხადებელს ეგზავნებოდა დეპარტამენტის უფროსის წერილით. საგრანტო კონკურსის შედეგები თავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. გრანტების გაცემის პროცესის შეფასებისას მნიშნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა რომ „სამინისტროს მიერ შედგენილი კრიტერიუმების შესაბამისად განაცხადებს განიხილავდა კომპეტენტური კომისია“. კომისიის შემადგენლობასა და წევრების კვალიფიკაციასთან მიმართებაში ორგანიზაციებს პოზიტიური განწყობა აქვთ. მათი მხრიდან ძირითადი მოთხოვნაა რომ მას შემდეგ რაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და აპლიკაციებს მიანიჭებს შესაბამის ქულებს, მოხდეს სიტყვიერი შეფასებების გაკეთება და თითოეული მათგანისთვის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში შეფასების კომენტარების გაგზავნა, შეფასებულ განაცხადთან ერთად კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული გაზრდის კომისიის მიმართ ნდობას და ზოგადად საგრანტო კონკურსის გამჭირვალობას. GITA-ს შემთხვევაში 2019 წლამდე საგრანტო კომისია დაკომპლექტებული იყო 7 წევრისგან, რომლებიც განაცხადებს აფასებდნენ 5 კრიტერიუმით, თუმცა აღნიშნული ხუთი კრიტერიუმიდან ორი იყო ძირითადი: ინოვაციურობა და კომერციალიზაციის პოტენციალი, რომელშიც კომისიის ყველა წევრის დადებითი ხმა უნდა მიეღო პროექტს რომ დაფინანსებულიყო. კომისია პროექტს აფასებდა დადებითად ან უარყოფითად. 2019 წელს შეფასების ნაწილში მოხდა ცვლილებები კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით, კომისიის წევრთა რაოდენობა შემცირდა ხუთამდე, ასევე არ არის განსაზღვრული სავალდებულო კრიტერიუმები. იმისთვის რომ პროექტმა მიიღოს დაფინანსება კომისიის 5 წევრიდან, 4-მა წევრმა დადებითად უნდა შეაფასოს პროექტი. საგრანტო განაცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადების დაფინანსების შესახებ და დაფინანსებული პროექტების სიას აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და მცირე საგრანტო პროგრამის ვებ-პორტალზე. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია ამ პუნქტით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, სააგენტოს თავმჯდომარე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ აღემატება 3 თვეს.შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტებს აფასებენ ადგილობრივი ან/და უცხოელი ექსპერტები ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფები. ფონდი განაცხადის წარმდგენს საშუალებას აძლევს მიუთითოს არასასურველი ექსპერტი, რომელსაც მისი განაცხადი არ გაეგზავნება. ექსპერტების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და აპლიკანტს ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაშიც არ ეცნობება.

აღნიშნული მოსაზრებებიც ხშირად სუბიექტურად შეიძლება იქნას მიჩნეული. გასაკვირი არაა, რომ არ დაფინანსებული პროექტების ავტორი ორგანიზაციები ხშირად პრობლემას შემუშავებულ პროექტში არ ეძებენ, არამედ გარე ფაქტორებს აბრალებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, გამჭვირვალე შეფასების სისტემა და დასაბუთებული კომისიის გადაწყვეტილება (განსაკუთრებით უარის შემთხვევაში) საჭირო და უპირობოა პროცესის გასაუმჯობესებლად. ასევე კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მოსაზრებით, საჭირო და მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით საჯარო უწყებების მხრიდან შეფასდეს მიღებული საპროექტო განაცხადები და შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციებს გრანტის გამცემმა საჯარო უწყებამ და შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა აპლიკანტებს შესთავაზონ ხანმოკლე შესაძლებლობების ზრდის შეხვედრები. რომლის დროსაც განიხილავენ ხშირად დაშვებულ შეცდომებს, საპროექტო განაცხადების ხარვეზებს. აღნიშნული ხელს შეუწყობდა ორგანიზაციებს უკეთ განჭვრიტონ პროექტების მიზნობრიობა და გააუმჯობესონ განაცხადების შემუშავებისა და აქტივობების დაგეგმვის ეტაპი. გრანტის გაცემის შესახებ საჯარო უწყებების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შიდა და გარე მექანიზმის შესახებ შესწავლილ იქნა სამართლებრივი აქტები და შეჯამებულ იქნა ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია.გრანტის გამცემის და კომისიის საბჭოს ნებისმიერი ქმედება ან/და გადაწყვეტილება ან საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს შიდა გასაჩივრების მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და გარე მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება სასამართლოში. კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით, რომელიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, შეადგენს 30 დღეს. აღსანიშნავია, რომ ეს წესი მოქმედებს იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის წესის გასაჩივრების პროცედურას. თუმცა, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს და, შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს აქვთ უფლება, მიმართონ გასაჩივრების მექანიზმს. სხვა უწყებების შემთხვევაში გვხვდება გასაჩივრების სტანდარტული პროცედურა. გრანტის გამცემი შვიდი უწყებიდან ყველა ითვალისწინებს გასაჩივრების მექანიზმს, თუმცა კვლევაში მონაწილე არც-ერთი ორგანიზაცია არ იყენებს აღნიშნულ უფლებას. ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებით ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგად, გამოიკვეთა რომ აღნიშნული მექანიზმით სარგებლობის არც კომპეტენცია და შესაძლებლობა გააჩნიათ და რიგ შემთხვევებში არც სურვილი. მიზეზად სახელდება, რომ აღნიშნული ქმედება არათუ არ იქნება შედეგის მომტანი მათთვის (სკეპტიკური დამოკიდებულება, რომ შედეგზე გავლენას ვერ მოახდენენ), არამედ სამომავლოდ მათ რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება და არამხოლოდ აღნიშნულ საჯარო უწყებასთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობას შეამცირებს, არამედ სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თვალშიც „ინტრიგნებად“ იქნებიან „მონათლულები“. „გასაჩივრებას აზრი არა აქვს, იმიტომ რომ შეიძლება მერე ვთქვათ, ვინც გაფინანსებს, ვინც დონორია მან სხვა გამოცხადების დროს, აბსოლუტურად იგივე გაიმეოროს. უფრო მეტად იყოს მონდომებული, რომ შენი პროექტი არ გავიდეს, ანუ მხარი არ დაგიჭირონ.“

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი

„საჯარო ინფორმაცია რომ გამოვითხოვე, რეალურად პრობლემა დამენახა, თუ რატომ და საერთოდ რა მოხდა, ამ კუთხით, ოფიციალურ ინტრიგნად გნათლავენ ხოლმე. ამიტომ, ცოტა ისეთი ამბავია. არ გვაქვს ის რესურსი, რომ თუნდაც ეს გასაჩივრების მექანიზმები ვიცოდეთ კარგად, როგორ და რანაირად შეიძლება, რომ გაასაჩივრო პროექტი.“

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი

2.საჯარო ინსტიტუტების მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა საჯარო ინსტიტუტების მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და გამოცდილება. ამ მხრივ, ძირითადი მიგნებები ეფუძნება როგორც დოკუმენტურ ანალიზს, გრანტის გამცემი უწყებების სამართლებრივ აქტებს და გრანტის მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ისე ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გრანტის გამცემ ყველა საჯარო უწყებას აქვს შემუშავებული განსხვავებული დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია და რეგულირდება პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რიგ შემთხვევებში გამოყოფილია შესაბამისი პირი/პირთა წრე, რომლებიც ახორციელებენ პროექტების პროგრამულ და ფინანსურ მონიტორინგს. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი გრანტის გამცემი ყველა უწყება აფასებს გაცემული გრანტის განხორციელების შესაბამისობას გაცემის მიზნობრიობასა და დაგეგმილ აქტივობებთან.კვლევის ფარგლებში შესწავლილ ყველა საჯარო უწყებას გრანტის გაცემის მარეგულირებელი წესით გააჩნია მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება. თუმცა თითოეული საჯარო დაწესებულებისთვის მონიტორინგის განსხვავებული გამოცდილება აქვს, რომელიც საჯარო უწყების საგრანტო კონკურსის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებით, რეგულირდება და განისაზღვრება: პროექტის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის ფორმა და პერიოდულობა, ასევე პროექტის პროგრამულ და ფინანსური ანგარიშგების მექანიზმები: შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშები, ფინანსური ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტები და მტკიცებულებები, როგორიცაა შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალა, ღონისძიებების მონაწილეთა დასწრების ფორმა, ხელშეკრულებები, გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრები და ა.შ. უმეტეს საჯარო უწყებებში მონიტორინგი ეფუძნება წარმოდგენილ ანგარიშებს, რიგ შემთხვევებში ხორციელდება სავალე ვიზიტები და ღონისძიებებზე დასწრება. მონიტორინგის დროს გრანტის მიმღებ ორგანიზაციასთან კომუნიკაცია ხდება ელექტრონული ფოსტის და ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. სავალე ვიზიტები ჩვეულებრივ, ხორციელდება გრანტის მიმღებ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე, თუმცა არა ყველა გრანტის შემთხვევაში.განსხვავებულია მონიტორინგის და ანგარიშგების პერიოდულობაც და დამოკიდებულია ცალკეული პროექტების ვადებსა და მასშტაბზე, უმეტესწილად გამოიყენება შუალედური (კვარტალური ან ყოველთვიური) ანგარიშები და საბოლოო ანგარიში. თუმცა უმეტესი ხელშეკრულებების ანალიზის თანახმად გრანტის გამცემ საჯარო უწყებას ნებისმიერ დროს შეუძლია მოსთხოვოს გრანტის მიმღებს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, ან პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება. ყველაზე დიდი მნიშვნელობა და მეტი ყურადღება ეთმობა პროექტის

საბოლოო ანგარიშებს, რომლებშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი განხორციელებული პროექტის შედეგები, აქტივობები და შესრულებული სამუშაო, თანდართული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტებითა და ფინანსური ანგარიშებით. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტებმა აღნიშნეს რომ „ანგარიშგება ხდებოდა ყოველთვიურად, როგორც ფინანსური ასევე ნარატიული“. „კვარტალში ერთხელ საჯარო უწყებებისგან ღებულობდნენ ანგარიშის შეფასებას და მიღება-ჩაბარების აქტებს“.

ამავე კვლევის ღია კითხვების თანახმად გრანტის მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით სასურველია: გაიზარდოს პროექტის ანგარიშგების ვადები, გამარტივდეს ანგარიშგების პროცედურები, ანგარიშგების პროცედურები და ფორმები თავიდანვე იყოს ცხადად ჩამოყალიბებული, რაც გაადვილებდა ანგარიშგების პროცესს.საჯარო უწყებების წარმომადგენლების მხრიდან ჩაღრმავებული ინტერვიუების პროცესში იკვეთება, რომ ხშირ შემთხვევაში მიუხედავად მათი გაწეული ძალისხმევისა პრობლემას წარმოადგენს ანგარიშგების ვადების დაცვა და დოკუმენტურად სრულყოფილად წარმოდგენა. პრობლემაა ვადების დაცვა, თუნდაც დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა. ეხლა მაგალითად როდესაც ვხვდებით ონლაინ და ვუხსნით აბსოლუტურად ყველაფერს თუ რა იქნება საჭირო მონიტორინგისთვის ყოველთვის არის პრობლემა ამ მიმართულებით.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენელი

გაცემული გრანტის მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღებთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, პერმანენტულად, მინისტრის ბრძანებით შექმნილი / საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის ჯგუფის მიერ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ინტერვიუს თანახმა გამოვლინდა, რომ 2019 წელს სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში მონიტორინგი ტარდებოდა ანგარიშგების მასალების და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირი შემოწმების შედეგად მომზადებულ მონიტორინგის დასკვნის პროექტს წერილობით წარუდგენდა კომისიას საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ხოლო კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას შესათანხმებლად წარუდგენდა მინისტრს.სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლის ინტერვიუს თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად, ფონდს წარმოუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორცილებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილების მე-12 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებების უმეტესობა მონიტორინგსა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას შიდა ადამიანური რესურსებით ახორციელებენ, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს.

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლის ინტერვიუს თანახმად, ზოგადად ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმებაც აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის და დასრულების შესახებ. ფონდი ასევე უფლებამოსილია აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

3.ზოგადი მიგნებები

ცალსახაა და განხორციელებული მონიტორინგის შედეგებმაც დაადასტურა, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემული გრანტები მნიშვნელოვანი და საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. სახელმწიფო საგრანტო შესაძლებლობების ზოგადი შეფასება მოხდა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტი ორგანიზაციების მხრიდან, რომელთა უმეტესობამ ძირითადად დადებითად შეაფასა სახელმწიფო გრანტების როგორც დაგეგმვის, გრანტის გაცემის, პროექტის გახორციელების, ასევე ანგარიშგების პროცესის ეტაპებს.

დიაგრამა #3:

რაოდენობრივი კვლევის რესპოდენტების სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპების დადებითი შეფასება



კვლევის პროცესში გამოიკვეთა საკითხთან დაკავშირებული ზოგადი მიგნებები და საჭიროებები:

საჯარო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობა:

განხორციელებული კვლევა ადასტურებს რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი მონდომებული და დაინტერესებულია მიიღოს სახელმწიფო გრანტი საბიუჯეტო სახსრებიდან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პრაქტიკის დამკვიდრება და გაძლიერება, რომ გაიზარდოს ურთიერთნდობა და თანამშრომლობა საერთო საჭიროებების და პრობლემების გადასაჭრელად. ერთი მხრივ, საჯარო უწყებები ნაკლებად ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციების კომპეტენციებსა და შესაძლებლობებს (მ.შ. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით), რაც დასტურდება სსიპ-ებისა და სახელმწიფო ა(ა)იპ-ების შექმნით და სიმრავლით. ხოლო მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მიჩვეულია ძირითადად ჩასაფრებულ / სახელმწიფო სტრუქტურების ოპონირების რეჟიმში ყოფნას. მაშინ როდესაც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტები საქართველოში სწორად საჯარო უწყებებთან თანამშრომლობით ხორციელდება.აღნიშნული თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებს შორის ასევე გაზრდიდა განხორციელებული პროექტების შედეგების მდგრადობას და ფართო მოცვას.

ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაძლიერება სახელმწიფო გრანტების გაცემაში:

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველი ერთეულები, როგორიცაა თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი და ა.შ. თვისებრივად არიან გრანტის გამცემები ზოგიერთ შემთხვევაში, მიმდინარე ეტაპზე კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროცესი სათანადოდ არ რეგულირდება საკანონმდებლო თვალსაზრისით და აღნიშნული პროცესი ყველა ეტაპზე საჭიროებს გაუმჯობესებას. განსაკუთრებით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა აღნიშნული თანამშრომლობის გაძლიერება ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად, მითუმეტეს რომ მათი დაფინანსების მიღების შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია.

სახელმწიფო გრანტებში მონაწილე ორგანიზაციების კომპეტენციების და შესაძლებლობების ზრდა:

არახალია, რომ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ ნაწილი საჭიროებს საპროექტო განაცხადების შემუშავების და კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით ცოდნის დონის გაუმჯობესებას და შესაძლებლობების გაზრდას. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მოსაზრებების თანახმადაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული უნარებისა და კომპეტენციების გაზრდა. არამხოლოდ პროექტის დაგეგმვის და შემუშავების ეტაპის უკეთ განსახორციელებლად, არამედ თავად პროექტების მართვის პროცესის და მონიტორინგის და შეფასების ეტაპების გასაუმჯობესებლადაც.

4.შედარებითი პრაქტიკის ტენდენციები

გრანტის გაცემის საკანონმდებლო რეგულირება - გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების თვალსაზრისით, საჯარო უწყებების მიერ გრანტის გაცემის ზოგად პრინციპებს, განსაზღვრავს 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“. კანონით არ არის დადგენილი სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის მინიმალური სტანდარტები და წესები. ამ მხრივ, მონიტორინგის წინა ეტაპებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

გაცემული გრანტების სტატისტიკა - 2019 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკის ანალიზისას გამოვლინდა, რომ 2019 წელს მონიტორინგის წინა ეტაპებთან შედარებით გაზრდილია, როგორც გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა, ასევე ჯამურად გრანტად გაცემული ბიუჯეტიც, 2018 წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია დაახლოებით 8 %-ით, თუმცა დაახლოებით 1 %-ით ნაკლებია 2017 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით. ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 24 %-ით აღემატება წინა წლის ხელშეკრულებების რაოდენობას.

საგრანტო პროგრამების მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები - 2016 წლიდან 2019 წლამდე, საგრანტო კონკურსების მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები თითქმის უცვლელად ნარჩუნდება წლიდან წლამდე და დაკავშირებულია უწყების უშუალო საქმიანობის და კომპეტენციების სფეროსთან.

საგრანტო პროგრამის შემუშავების პროცესი - მონიტორინგის წინა ეტაპების მსგავსად, მიმდინარე ეტაპზეც საგრანტო პროგრამების შემუშავების პროცესი არ ეფუძნება არსებული პრობლემების სიღრმისეულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევას და საჭიროებათა ანალიზს. ა(ა)იპ-ების წარმომადგენლების შეფასებით საგრანტო პროგრამების შემუშავებისა და საჭიროებების გამოვლენის პროცესებში, მათი ჩართვა არ ხდება, მიუხედავად იმისა რომ ამის მზაობა აქვთ.

საგრანტო კონკურსებისა და საგრანტო პროექტების განხორციელების ვადები - წინა წლებში განხორციელებული კვლევებისაგან განსხვავებით, საგრანტო კონკურსების ვადების სიმცირე და თავად გრანტების განხორციელების შემჭიდროვებული ვადები გამოწვევად დასახელდა რესპონდენტების მიერ.

გრანტის გაცემის ელექტრონული პლატფორმები - ა(ა)იპ-ების წარმომადგენლების ერთ-ერთ მოთხოვნად რჩება სახელმწიფო გრანტების მართვის მიზნით ერთიანი ელექტრონული ვებ-პორტალის არსებობა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება როგორც ინფორმაციის გავრცელება, ასევე განაცხადების მიღებაც. ელექტრონულ პლატფორმებს იყენებს მაგალითად, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (grants.gov.ge) და იუსტიციის სამინისტრო (შესყიდვების სააგენტოს პორტალი), თუმცა ზოგადად სახელმწიფო გრანტების მართვის ერთიანი სისტემა არ არის შემუშავებული. წინა წლებთან შედარებით იზრდება საგრანტო განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ელექტრონული სისტემით მიღების ფორმის გამოყენების შემთხვევები. ამ ფორმის გამოყენება კიდევ უფრო მეტად მოსახერხებელი და მნიშვნელოვანი გახადა Covid-19-ით გამოწვეულმა შეზღუდვებმა.

ინფორმაციასა და საგრანტო დოკუმენტებზე წვდომა - კვლევის რესპონდენტების მიერ, ზოგადად ხელმისაწვდომად შეფასდა საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტები. შეიძლება ითქვას, წინა წლებთან შედარებით საგრანტო პროექტებთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე წვდომა გაზრდილია. თუმცა აღნიშნულთან მიმართებაში კვლავ გამოწვევად რჩება კონკურსის გამოცხადების შესახებ ა(ა)იპ-ების დროული ინფორმირება.

გასაჩივრების მექანიზმი - გასაჩივრების უფლება და შესაბამისი პროცედურები გაწერილია ყველა საგრანტო კონკურსის შემთხვევაში, თუმცა პრაქტიკაში ნაკლებად ხდება აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ა(ა)იპ-ების მიერ გარკვეული სტერეოტიპების, სკეპტიკური დამოკიდებულებების ან/და შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო.

VI. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც საშუალებას მისცემს საჯარო უწყებებს გაიზარდოს საგრანტო კონკურსების მართვის ეფექტიანობა და გამჭირვალობა, უზრუნველყოს უფრო მაღალი მონაწილეობა და საგრანტო პროექტების მეტად შედეგიანად განხორციელების შესაძლებლობა:

- საგრანტო პროგრამების დაგეგმვისას და გამოცხადებისას მეტად ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზნობრიობა, თუ რას ემსახურება კონკურსი და რა ფაქტორები მიუთითებს ასეთი პროექტის განხორციელების საჭიროებას. სასურველია აღნიშნული ეფუძნებოდეს წინასწარი კვლევის შედეგებს ან ჩანდეს სხვა მყარი მტკიცებულებებით დასაბუთებული არგუმენტები;

- ორგანიზაციებმა სურვილი გამოთქვეს ჩაერთონ პრობლემებისა და პრიორიტეტების გამოვლენის პროცესში. შესაბამისად, ითანამშრომლონ სამთავრობო უწყებებთან არა მხოლოდ გრანტის მიღების შემთხვევაში, არამედ საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდეც;

- მისასალმებელი იქნება სახელმწიფო დაფინანსების ზრდა და ა(ა)იპ-ების უფრო აქტიურად ჩართვა და თანამშრომლობის გაძლიერება სხვადასხვა სერვისების მიწოდების კუთხით. მათთან თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გააქტიურება გაზრდის ორ სექტორს შორის თანამშრომლობას და ბენეფიციარი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინების ხარისხს;

- საგრანტო კონკურსის ვადების სიმცირე ხელს უშლის მეტად ხარისხიანი განაცხადების მომზადებას და ორგანიზაციების მხრიდან უფრო მაღალ ჩართულობას. სასურველია შესაძლებლობის ფარგლებში ვადების გადახედვა და გაზრდა;

- საგრანტო განაცხადების გაგზავნის ყველაზე მეტად მოსახერხებელ ფორმად დასახელდა დოკუმენტების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვა. ანგარიშგებისა და საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ყველა პროცედურისთვის ერთი სისტემის გამოყენება გაამარტივებდა და დროში უფრო ეფექტიანს გახდიდა გრანტის გამცემსა და მიმღებს შორის ვალდებულებების შესრულების პროცესს. რეკომენდებულია ელექტრონულად ხდებოდეს არა მხოლოდ განაცხადების მიღება, არამედ საგრანტო პროგრამის ფარგლებში სხვა დოკუმენტებისაც;

- ზოგადად ხელმისაწვდომად შეფასდა საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები. შედარებით დაბალი ხელმისაწვდომობის ხარისხით შეფასდა განაცხადის შეფასების კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები. რეკომენდებულია საჯარო უწყებებმა საგრანტო დოკუმენტაციის განთავსებისას გაითვალისწინონ აღნიშნული ინფორმაციის მითითებაც.

- სასურველია შეფასებისას გარდა ქულების მინიჭებისა მოხდეს კომენტარების მითითება და თითოეული განმცხადებელი ორგანიზაციისათვის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, კრიტერიუმების მიხედვით შეფასების კომენტარების გაზიარება. აღნიშნული ერთი მხრივა, გაზრდის კომისიის მიმართ ნდობას და ზოგადად საგრანტო კონკურსის გამჭირვალობას, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობს ორგანიზაციას შეაფასოს დაშვებული შეცდომები და სამომავლოდ გამოასწოროს, რაც ორგანიზაციისათვის გაზრდის საბიუჯეტო სახსრებიდან გრანტის მიღების ალბათობას.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების მიერ ღია კითხვების სახით დასახელებულ იქნა სახელმწიფო გრანტების გაუმჯობესების რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგნაირად ფორმირდება:

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციები	
გაიზარდოს პროექტის განხორციელების და ანგარიშგების ვადები	14.5%
კარგი იქნებოდა პრობლემათა იდენტიფიცირების პროცესშივე მესამე არასამთავრობო სექტორის ჩართვა და მონაწილეობა	12.7%
ზოგიერთმა სსიპ-მა გრანტების გაცემა შეწყვიტა, კარგი იქნება თუ ამ გადაწყვეტილებას შეცვლიან, რადგან ეს არჩევნების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის კარგი შესაძლებლობა იყო	7.3%
ინფორმაციის ნაკლებობა, სასურველია გაიზარდოს წვდომა დროულ და სრულ ინფორმაციაზე	7.3%
გამარტივდეს ანგარიშგების პროცედურები	5.5%
კარგი იქნებოდა 2020-2021 წლის მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამა ისევ არასამთავრობო სექტორს განეხორციელებინა, რადგან იქნებოდა კარგი მაგალითი არასამთავრობო სექტორისა და სამინისტროს თანამშრომლობის	5.5%
ანაგრიშგების პროცედურები და ფორმები თავიდანვე იყოს ცხადად ჩამოყალიბებული, რაც გაადვილებდა ანგარიშგების პროცესს	3.6%
პროექტებს აუცილებლად უნდა აფასებდნენ მხოლოდ ქართველი ექსპერტები, ვინაიდან უცხოელს, თუნდაც „ქართველოლოგს“ გული ისე არ შესტკივა საქართველოს დაკარგული კუთხეების	1.8%
კონკურსის პრიორიტეტები და შეფასების კრიტერიუმები ნათლად იყოს წარმოგენილი, უკუკავშირის აძლევდნენ აპლიკანტს	1.8%

დანართები

დანართი #1:

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილის ნიმუში

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში, კონრად ადენაუერის ფონდისა და ევროკავშირის ხელშეწყობით ახორციელებს სახელმწიფო გრანტების მონიტორინგს. საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან საგრანტო დაფინანსების გაცემის მონიტორინგის მიზნით გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- 2019 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ჩამონათვალი, მიმღები ორგანიზაციებისა და გაცემული თანხების მითითებით;
- გრანტის გაცემის პროცესში მომზადებული ყველა ბრძანება და დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იყო გრანტის გაცემის პროცედურის მართვა-ადმინისტრირებასთან;
- საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს 2019 წლის სხდომის ოქმები და ბრძანება ასეთი ორგანოსთვის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოქვეყნებული ოფიციალური განაცხადი კონკურსის გამოცხადების შესახებ, თანდართული დოკუმენტაცია, კონკურსის მართვის ეტაპები/პროცედურები და მასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები;
- საგრანტო კონკურსის გამოცხადება-შეფასების პროცესის ფარგლებში გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებების ჩამონათვალი ;
- ჩატარებული კონკურსის ფარგლებში გრანტის გაცემის საფუძველი (მიმღები ორგანიზაციის მხრიდან წარდგენილი საგრანტო განაცხადი, სხვა თანდართული
- დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები)
- გრანტის შესრულების დამადასტურებელი ანგარიში (პროგრამული, ფინანსური ანგარიში, კვლევის შედეგების ანგარიში და/თუ სხვა დოკუმენტები რომელთა საფუძველზეც მოხდა გრანტის შესრულების დადასტურება გრანტის მიმღები ორგანიზაციის მხრიდან);
- 2019 წელს გაცემული ან გასაცემი გრანტების შესახებ ინფორმაცია, რომელთა გაცემის ან შესრულების ეტაპზე წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები, მოხდა გრანტის გაცემის პროცედურის შეჩერება ან შეწყვეტა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება მოხდება მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად, რის მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფო გრანტების გაცემის პროცესის გაუმჯობესების ეფექტიანობის გაზრდა. პროექტი არ ითვალისწინებს კერძო სექტორისთვის ან სხვა მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციისთვის გაცემული გრანტების მონიტორინგს. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის მოწოდება საჭირო არ არის.

A.ბლოკი: ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

ც	ზოგადი ინფორმაცია		
1	რესპონდენტის სახელი, გვარი		
2	რესპონდენტის პოზიცია ორგანიზაციაში		
3	ორგანიზაციის სახელი		
4	ორგანიზაციის აკრონიმი (აბრევიატურა)		
5	ტელეფონი		
6	ელ.ფოსტა		
7	მისამართი		
8	ორგანიზაციის საქმიანობის არეალი (მონიშნეთ ლათინური X სიმბოლოთი, შესაძლებელია ორივეს მონიშვნა)	1. ქალაქად ☐	2. სოფლად ☐
9	ორგანიზაციის საქმიანობის არეალი (მმონიშნეთ ყველა სავარაუდო პასუხი)	☐ 1. მცხეთა-მთიანეთი ☐ 2. კახეთი; ☐ 3. სამცხე-ჯავახეთი; ☐ 4. ქვემო ქართლი; ☐ 5. შიდა ქართლი; ☐ 6. იმერეთი; ☐ 7. რაჭა-ლეჩხუმი; ☐ 8. გურია; ☐ 9. სამეგრელო-ზემო სვანეთი; ☐ 10. აჭარა; ☐ 11. მთელი საქართველოს მასშტაბით	
10	რომელ დონეზე საქმიანობს თქვენი ორგანიზაცია? (მონიშნეთ ყველა სავარაუდო პასუხი)	☐ 1. საერთაშორისო; ☐ 2. ეროვნული; ☐ 3. რეგიონული; ☐ 4. მუნიციპალური; ☐ 5. თემის დონეზე.	
11	ვინ არის თქვენი სამიზნე ჯგუფები: (მონიშნეთ ყველა სავარაუდო პასუხი)	☑ 1. ახალგაზრდები; ☐ 2. ქალები; ☐ 3. შშმ პირები; ☐ 4. სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები; ☐ 5. იძულებით გადაადგილებული პირები; ☐ 6. ბავშვები; ☐ 7. მცირე და საშუალო ბიზნესი; ☐ 8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები; ☐ 9. მედია ორგანიზაციები; ☐ 10. სხვა მიუთითეთ_____; ☐ 11. სხვა მიუთითეთ_____; ☐ 12. სხვა მიუთითეთ_____;	
12	ორგანიზაციის საქმიანობის სფეროები: (მონიშნეთ ყველა სავარაუდო პასუხი)	☐ 1. დემოკრატიის ხელშეწყობა; ☐ 2.ეკონომიკის და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა; ☐ 3. განათლება; ☐ 4. გარემოს დაცვა;	

წერილის დანართი

2019 წელს საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გრანტის გამცემი საქართველოს სამინისტროები / საჯარო სამართლის იურიდიული პირები				
სამინისტროს/ საქვეუწყებო ორგანოს/სსიპ დასახელება	გრანტის გაცემის საფუძველი (მიუთითეთ შესაბამისი კანონი, დადგენილება, ბრძანება)	2019 წელს გაცემული გრანტის მიზნობრიობა / მიმართულება	2019 წელს გრანტად გაცემული თანხა	2019 წელს გრანტის მიმღები პირის დასახელება

დანართი #2:

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი

„სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის“ კვლევა ხორციელდება საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა” ფარგლებში, კონრად ადენაუერის ფონდისა და ევროკავშირის ხელშეწყობით საეა კვლევას ახორციელებს სახელმწიფო გრანტების მიონიტორინგს, საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტი სახსრებიდან საგრანტო დაფინანსების გაცემის მონიტორინგის მიზნით.

კითხვარი		
სამიზნე ჯგუფი:	არასამთავრობო ორგანიზაცია	კოდი
		1

1,1 თუ დიახ, დააზუსტეთ რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს ეხებოდა თქვენი პროექტი? (შონიშნეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

საკითხები
☐ გარემოს დაცვას და დასუფთავება
☐ სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება
☐ საზოგადოებრივ გამოწვევებზე ცნობიერების ამაღლება
☐ შშმ ადამიანების ინტეგრაციას საზოგადოებაში
☐ განსხვავებული ეთნიკური წამომავლების ადამიანების ინტეგრაციას და მათთან თანამშრომლობა
☐ კულტურული ღონისძიების მოწყობას (სპექტაკლი, ფესტივალი, კონცერტი, პოეზიის საღამო)
☐ ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარებას (რა სად როდის? ბრეინ-რინგი და სხვა)
☐ ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა
☐ სამშობლოში დაბრუნებულმიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა
☐ განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
☐ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა
☐ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება; პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა
☐ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა
☐ იკულტურისა და განათლების სფეროს პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა
☐ სხვა, დააზუსტეთ
☐ სხვა, დააზუსტეთ
☐ სხვა, დააზუსტეთ

2.რომელი სახელმწიფო ინსტიტუტებიდან მიიგიღიათ გრანტი?(ჩაწერეთ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, საიდანაც მიიღეთ დაფინანსება)

#	სახელმწიფო ინსტიტუტები:
1	
2	
3	

3.ძირითადად რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას აღნიშნული საგრანტო შესაძლებლობების შესახებ? (მონიშნეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

#	წყარო
1	☐ ვებ-გვერდი
2	☐ საინფორმაციო ბუკლეტები, რიფლეტები
3	☐ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა
4	☐ სოციალური ქსელები
5	☐ მედია საშუალებები (ტრადიციული და ონლაინ)
6	☐ სხვა, დააზუსტეთ
7	☐ სხვა, დააზუსტეთ

13. რა იყო თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყარო 2019 წელს; შემოხაზეთ ყველა დაფინანსების წყარო და მიუთითეთ პროცენტული გადანაწილება:

	წყარო	მონიშნეთ ყველა დაფინანსების წყარო
1	საწევრო	☐
2	საქართველოში მომუშავე საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციის გრანტი/სერვის კონტრაქტი	☐
3	საქართველოს გარეთ მომუშავე საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციის გრანტი/სერვის კონტრაქტი	☐
4	სახელმწიფო სტრუქტურების (სამინისტრო, სსიპ და სხ.) მიერ გაცემული გრანტი	☐
5	სახელმწიფო სტრუქტურების ტენდერი / სერვის კონტრაქტი	☐
6	მომსახურების კონტრაქტი კერძო კომპანიებისაგან	☐
7	ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	☐
8	ბიზნესის შემოწირულობა	☐
9	სხვა (დააზუსტეთ) _____	☐
10	სხვა (დააზუსტეთ) _____	☐

B.ბლოკი: ინფორმაცია მიღებული გრანტების შესახებ

1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სახელმწიფო ინსტიუტების (სამინისტრო, სსიპ და სხ.) საგრანტო კონკურსებში/ პროექტებში ?(შემოხაზეთ 2 შესაძლო ვარიანტი)

1	☐ დიახ, მივიღე და დავფინანსდი (გადადით 1.1 კითხვაზე)
2	☐ დიახ, მივიღე და არ დავფინანსდი (გადადით 1.2 კითხვაზე)
3	☐ არ მიმიღია მონაწილეობა(გადადით 1.2 კითხვაზე)
4	☐ არ მსმენია (დაასრულეთ)
99	☐ მიჭირს პასუხის გაცემა (დაასრულეთ)

4.რამდენად ხელმისაწვდომი და ამომწურავი იყო კონკურსის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია? 1. ხელმისაწვდომი იყო; 2. მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო; 3. არ იყო ხელმისაწვდომი; საერთოს არ იყო ხელმისაწვდომი (რესპონდენტს, კოდი უნდა ჩაწეროთ ყველა ველში)

#	პროცედურები/ფორმები	მიუთითეთ კოდი
1	განაცხადის ფორმა	☐
2	კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები	☐
3	წარსადგენი დოკუმენტები,	☐
4	განაცხადების შეფასების კრიტერიუმები,	☐
5	გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები	☐
6	ვადები	☐
7	გასაჩივრების პროცედურები	☐
8	სხვა, დააზუსტეთ	☐
9	სხვა, დააზუსტეთ	☐

5.გთხოვთ შეაფასოთ პროექტის განხორციელების და ანგარიშგების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და გამოწვევები? (რესპონდენტს, ჩაწერეთ ყველა გამოწვევა და პრობლემა)

პრობლემები და გამოწვევები:

1.2 დააზუსტეთ რომელ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო არ მიიღეთ ან/და მიღეთ მონაწილეობა და არ დაფინანსდით?(მონიშნეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

#	მიზეზები
1	☐ არ მქონდა ინფორმაცია მსგავსი შესაძლებლობების შესახებ
2	☐ ვერ ვაკმაყოფილებდი კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნებს
3	☐ არარელევანტური ვადები
4	☐ არ პასუხობდა გამოცხადებულ მოთხოვნებს
5	☐ არ იყოს სრულყოფილად ფორმულირებული
6	☐ ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხები
7	☐ სხვა, დააზუსტეთ
8	☐ სხვა, დააზუსტეთ

C.ბლოკი: სახელმწიფო საგრანტო შესაძლებლობების ზოგადი შეფასება / რეკომენდაცია

(C - ბლოკს ავსებს ის რესპონდენტი, რომელმაც B-ბლოკში კითხვა 1-ში 1 ან 2 სავარაუდო პასუხი)ზოგადად როგორ შეაფასებდით სახელმწიფო გრანტების

1.1	დაგეგმვის პროცესი (მათ შორის ინფორმაციის გავრცელების პროცესი)	შეფასება
1.2	გრანტების გაცემის პროცესი	შეფასება
1.3.	პროექტის განხორციელების პროცესი	შეფასება
1.4	ანგარიშგების პროცესი	შეფასება
1.5	თქვენი რეკომენდაცია ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით	რეკომენდაცია

დანართი #3:

ჩაღმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო - სახელმწიფო გრანტის გამცემ საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო
სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო გრანტის გამცემ საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და თბილისის მერიისა და ბათუმის მერიის წარმომადგენლები

მკვლევარს, მნიშვნელოვანია: რესპონდენტმა მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები.

#	კითხვა/საკითხი	მკვლევარს, დააზუსტეთ:
1	გთხოვთ მოკლედ აღწეროთ საგრანტო პროგრამის დაგეგმვის ეტაპი.	დაგეგმვის ეტაპზე არიან თუ არა ჩართული დაინტერესებული მხარეები და ვინ არიან ისინი, არის თუ არა შესაბამისი ინსტიტუციის პრიორიტეტებთან , გაწერილია თუ არა შეფასების ინდიკატორები და მისაღწევი შედეგების აღწერილობა, ვადები, და ა.შ.)
2	რამდენად ხშირად გასცემს თქვენი ორგანიზაცია გრანტს სამოქალაქო სექტორზე?	თხოვეთ რესპონდენტს, გაცემული გრანტები მიმართულებები.
3	გთხოვთ აღწეროთ საგრანტო კონკურსის გამოცხადების და ინფორმაციის გავრცელების პროცესი?	დაასახელებინეთ ყველა საკომუნიკაციო არხები, საიდანაც ხდება ინფორმაციის გავრცელება.
4	რა ინფორმაციას მოიცავს საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოქვეყნებული ოფიციალური განაცხადი კონკურსის გამოცხადების შესახებ, რა სავალდებულო დოკუმენტებს ურთავთ ხოლმე თან?	რა ფორმით აქვს დაინტერესებულ პირს ამ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა
5	რა ძირითად დოკუმენტაციას ითხოვთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციებისაგან.	თხოვეთ რესპონდენტს რა დოკუმენტებს ითხოვენ.
6	რამდენად ხელმისაწვდომია შეფასების კრიტერიუმები დაინტერესებული პირისთვის გრანტრის გამოცხადებისას ან კონკურსის დასრულების შემდეგ?	რა ფორმით აქვს დაინტერესებულ პირს ამ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა
7	როგორ ხდება შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება და საგრანტო შეთავაზების შეფასება	დააზუსტეთ, საბჭოს/კომისიის წევრების შერჩევა რა პრინციპით ხდება. საგრანტო შეთავაზების შეფასება ხდება ქულებით, გასაუბრებით და ა.შ

გთხოვთ მოკლედ აღწეროთ გრანტის გაცემის პროცესი და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების მსვლელობა.	რა ვალდებულებები ეკისრებათ მარეგულირებელი ბრძანებებისა და დადგენილებების საფუძველზე, და რა სახის დამატებით შიდა მოთხოვნებს აწესებს იმისთვის რომ გრანტის გამოცხადებისა და გაცემის პროცესი გახადეს მეტად ეფექტიანი, გამჭირვალე, საჯარო და სამართლიანი.
გთხოვთ აღნიშნოთ რამდენად ხშირად ხდება საჭირო საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ცალკე ორგანოს შექმნა, და რა ფუნქციები ეკისრება ასეთ ორგანოს?	შეაფასებინეთ რესპონდენტს, რამდენად ზრდის ეფექტიანობას ცალკე ასეთი ორგანო (საბჭო/კომისია თუ სხვა), ფორმირება და შეადარებინეთ ამ ფუნქციის რომელიმე დეპარტამენტისთვის დაკისრების ალტერნატივასთან.
გთხოვთ ჩამოთვალოთ საგრანტო კონკურსის შეფასების პროცესის ფარგლებში გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებები.	დააზუსტებინეთ კომუნიკაციის არხები, რომელსაციყენებენ შეფასების პროცესში
როგორ მართავთ გამარჯვებული ორგანიზაციის მხრიდან გრანტის შესრულების პროცესის ეფექტიანობას, რა ძირითად დოკუმენტაციას ითხოვთ და რა პერიოდულობით ?	დაზუსტებინეთ რესპონდენტს რა ფორმით ხდება გრანტის შესრულების საბოლოო ანგარიშის ჩაბარება, ვინ აფასებს შესრულებული სამუშაოს ხარისხი
თუ გახსენდებათ გაცემული ან გასაცემი გრანტი, რომლის გაცემის ან შესრულების ეტაპზე წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები. თუ კი, რა იყო გამომწვევი მიზეზები	მაგალითად, გრანტის გაცემის პროცედურის შეჩერება ან შეწყვეტა
რა გამოწვევებს აწყდებით გამოცხადების, განაცხადების მიღების და გრანტების გაცემის მართვა-ადმინისტრირების პროცესში ?	თხოვეთ რესპონდენტს გაგიზიაროთ რას ფიქრობს, რა მიმართულებით საჭიროებს პროცესებს გაუმჯობესება.

დანართი #4:

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო გრანტის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლები

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო
სამიზნე ჯგუფი: გრანტის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლები

მკვლევარს, მნიშვნელოვანია: რესპონდენტმა მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები.

13	თქვენი რეკომენდაცია, რა უნდა გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ეტაპზე?	რესპონდენტის რეკომენდაციები განაცხადების შეფასების ეტაპის და გამარჯვებული გამოვლენასთან დაკავშირებით
14	ახორციელებდა თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია გაცემული გრანტის მონიტორინგს?	დააზუსტებინეთ რესპონდენტს, რა ფორმით ახდენდა მონიტორინგს
15	იყო თუ არა წინასწარ განსაზღვრული საგრანტო ხელშეკრულებით მონიტორინგის ვალდებულება, მექანიზმები და შედეგების შეფასების სისტემა?	დააზუსტებინეთ რესპოდენტს, ვალდებულებები, მექანიზმები და შედეგების სისტემა
16	ითვალისწინებდა თუ არა საგრანტო ხელშეკრულება პროგრამის/პროექტის შესრულების ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმებს?	დააზუსტებინეთ მონაწილეებს, იყო თუ არა მოთხოვნილი შუალედური, საბოლოო პროგრამული ანგარიში, ფინანსური ანგარიში და აუდიტის დასკვნა
17	ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებდა?	იყო თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული წინასწარ
18	როგორ ახდენდა თქვენი ორგანიზაცია პროექტის ეფექტიანობის შეფასებას?	მოუყვანეთ მაგალითი, აფასებდნენ თუ არა ბენეფიციარების კმაყოფილების დონეს, თუ კი როგორ
19	როგორ ახდენდა პროექტის ეფექტიანობის შეფასება გრანტის გამცემი სახელმწიფო უწყება?	მოუყვანეთ მაგალითი, აფასებდნენ თუ არა ბენეფიციარების კმაყოფილების დონეს, თუ კი როგორ
20	გაგვიზიარეთ თქვენი რეკომენდაციები მონიტორინგის და შეფასების ეტაპზე რას შეცვლიდით ან დაამატებდით?	რესპონდენტის რეკომენდაციები
21	თუ გახსენდებათ გაცემული ან გასაცემი გრანტი, რომლის გაცემის ან შესრულების ეტაპზე წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები. თუ კი, რა იყო გამომწვევი მიზეზები	თუ ორგანიზაციას არ აქვს მსგავსი გამოცდილება, თხოვეთ ხოო არ სმენია (მაგალითად, გრანტის გაცემის პროცედურის შეჩერება ან შეწყვეტა)
22	რა გამოწვევებს აწყდებით გამოცხადების, განაცხადების წარდგენის, განაცხადების შეფასების, გრანტების მიღების და ანგარიშგების ეტაპზე ?	თხოვეთ რესპონდენტს გაგიზიაროთ რას ფიქრობს, რა მიმართულებით საჭიროებს პროცესებს გაუმჯობესება. რას ურჩევდა გრანტის გამცემ სახელმწიფო უწყებებს.

დანართი #5:

ფოკუს-ჯგუფების გზამკვლევი გრანტის მიმღებ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო
სამიზნე ჯგუფი: გრანტის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლები

მოდერატორს, მნიშვნელოვანია: მონაწილეებმა მოგიყვანონ კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები.

#	კითხვა/საკითხი	მკვლევარს, დააზუსტეთ:
1	რა წყაროებიდან მიიღეთ ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ?	მაგალითად, გრანტის გამცემის ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა.
2	რამდენად შეესაბამებოდა საგრანტო პროგრამის პრიორიტეტები საჯარო ინსტიტუციის მიზნებს?	თუ არ შეესაბამებოდა, თხოვეთ გაიხსენოს კონკრეტული მაგალითი
3	თქვენი აზრით, რამდენად მოიცავდა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციისთვის აქტუალურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს?	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დააზუსტებინეთ , რა იქნება მისი რეკომენდაცია)
4	გაქვთ თუ არა ინფორმაცია, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული მხარეები?	არა/არვიცის შემთხვევაში, უნდა იყოს თუ არა ჩართული დაინტერესებული მხარე და რა პრინციპით უნდა ხდებოდეს მათი შერჩევა
5	თქვენი აზრით, ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია როგორც განაცხადის წარდგენის, განაცხადების შეფასების ეტაპზე?	განაცხადის ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების პროცედურები)
6	რა ფორმით ხდებოდა განაცხადის ფორმის და მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა?	რამდენად მისაღებია აღნიშნული ფორმით წარდგენა თქვენთვის? რა სირთულეებს წააწყდით განაცხადის შევსების პროცესში?
7	იყო თუ არა წინასწარ დადგენილი საკონკურსო განაცხადის/დოკუმენტების წარდგენისთვის ვადა?	თუ კი, რამდენად რეალისტური იყო განსაზღვრული ვადა? თუ არა რატომ არ იყო წინასწარ დადგენილი ვადა
8	დამატებითი კითხვების შემთხვევაში, რა გზებით სთავაზობდა სახელმწიფო უწყება კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს?	რამდენად ამომწურავი და გასაგები იყო მიღებული კონსულტაცია? დამატებით რა გზებით ისურვებდით ინფორმაციის მიღებას
9	გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებზე? თუ კი, გაგვიზიარეთ, რა ფორმით ხდებოდა შეფასება	ეს შეიძლება იყო ქულებით შეფასება, გასაუბრება და ა.შ. ასევე როგორ გამოვლინდა გამარჯვებული?
10	გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია შესარჩევი კომისიის შემადგენლობის შესახებ?	თუ კი, დააზუსტეთ, საბჭოს/კომისიის წევრების შერჩევა რა პრინციპით ხდება.
11	რა ფორმით მოხდა ინფორმაციის მიღება კომისიის გადაწყვერილების შესახებ?	დააზუსტებინეთ, რა კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელდა ინფრმაცია გამარჯვებული ორგანიზაციის შესახებ
12	თქვენი აზრით, რამდენად დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით მოხდა გამარჯვებულის გამოვლენა?	რესპონდენტის შეფასება

#	კითხვა/საკითხი	მოდერატორს, დააზუსტეთ:
1	რა წყაროებიდან მიიღეთ ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ?	მაგალითად, გრანტის გამცემის ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა.
2	რამდენად შეესაბამებოდა საგრანტო პროგრამის პრიორიტეტები საჯარო ინსტიტუციის მიზნებს?	თუ არ შეესაბამებოდა, თხოვეთ გაიხსენონ კონკრეტული მაგალითები
3	თქვენი აზრით, რამდენად მოიცავდა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციისთვის აქტუალურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს?	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დააზუსტებინეთ მონაწილეებს, რა იქნება მათი რეკომენდაცია)
4	გაქვთ თუ არა ინფორმაცია, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული მხარეები?	არა/არვიცის შემთხვევაში, უნდა იყოს თუ არა ჩართული დაინტერესებული მხარე და რა პრინციპით უნდა ხდებოდეს მათი შერჩევა
5	თქვენი აზრით, ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია როგორც განაცხადის წარდგენის, განაცხადების შეფასების ეტაპზე?	განაცხადის ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების პროცედურები)
6	რა ფორმით ხდებოდა განაცხადის ფორმის და მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა?	რამდენად მისაღებია აღნიშნული ფორმით წარდგენა თქვენთვის? რა სირთულეებს წააწდით განაცხადის შევსების პროცესში?
7	იყო თუ არა წინასწარ დადგენილი საკონკურსო განაცხადის/დოკუმენტების წარდგენისთვის ვადა?	თუ კი, რამდენად რეალისტური იყო განსაზღვრული ვადა? თუ არა რატომ არ იყო წინასწარ დადგენილი ვადა
8	დამატებითი კითხვების შემთხვევაში, რა გზებით სთავაზობდა სახელმწიფო უწყება კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს?	რამდენად ამომწურავი და გასაგები იყო მიღებული კონსულტაცია? დამატებით რა გზებით ისურვებდით ინფორმაციის მიღებას
9	გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებზე? თუ კი, გაგვიზიარეთ, რა ფორმით ხდებოდა შეფასება	ეს შეიძლება იყოს: ქულებით შეფასება, გასაუბრება და ა.შ. ასევე როგორ გამოვლინდა გამარჯვებული?
10	გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია შესარჩევი კომისიის შემადგენლობის შესახებ?	თუ კი, დააზუსტეთ, საბჭოს/კომისიის წევრების შერჩევა რა პრინციპით ხდება ან როგორ უნდა ხდებოდეს მათი შერჩევა..
11	რა ფორმით მოხდა ინფორმაციის მიღება კომისიის გადაწყვერილების შესახებ?	დააზუსტებინეთ, რა კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელდა ინფრმაცია გამარჯვებული ორგანიზაციის შესახებ

12	თქვენი აზრით, რამდენად დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით მოხდა გამარჯვებულის გამოვლენა?	მონაწილეების შეფასება
13	თქვენი რეკომენდაცია, რა უნდა გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ეტაპზე?	მონაწილეების რეკომენდაციები განაცხადების შეფასების ეტაპის და გამარჯვებული გამოვლენასთან დაკავშირებით
14	ახორციელებდა თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია გაცემული გრანტის მონიტორინგს?	დააზუსტებინეთ მონაწილეებს, რა ფორმით ახდენდნენ მონიტორინგს
15	იყო თუ არა წინასწარ განსაზღვრული საგრანტო ხელშეკრულებით მონიტორინგის ვალდებულება, მექანიზმები და შედეგების შეფასების სისტემა?	დააზუსტებინეთ მონაწილეებს, ვალდებულებები, მექანიზმები და შედეგების სისტემა
16	ითვალისწინებდა თუ არა საგრანტო ხელშეკრულება პროგრამის/პროექტის შესრულების ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმებს?	დააზუსტებინეთ მონაწილეებს, იყო თუ არა მოთხოვნილი შუალედური, საბოლოო პროგრამული ანგარიში, ფინანსური ანგარიში და აუდიტის დასკვნა
17	ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებდა?	იყო თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული წინასწარ
18	როგორ ახდენდა თქვენი ორგანიზაცია პროექტის ეფექტიანობის შეფასებას?	მოუყვანეთ მაგალითი, აფასებდნენ თუ არა ბენეფიციარების კმაყოფილების დონეს, თუ კი როგორ
19	როგორ ახდენდა პროექტის ეფექტიანობის შეფასება გრანტის გამცემი სახელმწიფო უწყება?	მოუყვანეთ მაგალითი, აფასებდნენ თუ არა ბენეფიციარების კმაყოფილების დონეს, თუ კი როგორ
20	გაგვიზიარეთ თქვენი რეკომენდაციები მონიტორინგის და შეფასების ეტაპზე რას შეცვლიდით ან დაამატებდით?	მონაწილეების რეკომენდაციები
21	თუ გახსენდებათ გაცემული ან გასაცემი გრანტი, რომლის გაცემის ან შესრულების ეტაპზე წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები. თუ კი, რა იყო გამომწვევი მიზეზები	თუ ორგანიზაციას არ აქვს მსგავსი გამოცდილება, თხოვეთ ხომ არ სმენია (მაგალითად, გრანტის გაცემის პროცედურის შეჩერებს ან შეწყვეტის)შესახებ
22	რა გამოწვევებს აწყდებით გამოცხადების, განაცხადების წარდგენის, განაცხადების შეფასების, გრანტების მიღების და ანგარიშგების ეტაპზე ?	თხოვეთ მონაწილეებს გაგიზიაროთ მათი მოსაზრებები, რა მიმართულებით საჭიროებს პროცესებს გაუმჯობესება. რას ურჩევდნენ გრანტის გამცემ სახელმწიფო უწყებებს.

დანართი #6:

ფოკუს- ჯგუფის გზამკვლევი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომელთაც არ მიუღიათ სახელმწიფო გრანტი

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო
სამიზნე ჯგუფი: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლები

მოდერატორს, მნიშვნელოვანია: მონაწილეებმა მოგიყვანონ კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები.

#	კითხვა/საკითხი	მოდერატორს, დააზუსტეთ:
1	გსმენიათ თუ არა სახელმწიფო გრანტების შესახებ ინფორმაცია?	თუ კი, მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა? თუ გსმენიათ და არ მიგიღიათ მონაწილეობა, დაასახელეთ მიზეზები?
2	იცით თუ არა რა სახელმწიფო საგრანტო პროგრამები/პროექტები არსებობს?	თუ კი, რა თემებზე/ მიმართულებებზე გაიცემა გრანტები? თუ არა, რა არის ამის მიზეზი: არ ქონდათ ინფორმაცია, თუ ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს
3	თქვენი აზრით რა საკომუნიკაციო არხებით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების/პროექტების შესახებ?	მონაწილეებს დააზუსტებინეთ ინფორმაციის გავრცელების საკომუნიკაციო არხები
4	თქვენი აზრით სახელმწიფო გრანტების/პროგრამების დაგეგმვის პროცესში, წინასწარ რა კომპონენტები უნდა განისაზღვროს და გამოქვეყნდეს კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებისათვის?	(მაგალითად. ვადები, ბიუჯეტის ზედა ზღვარი, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები)
5	თქვენი აზრით, როგორ ხდებოდეს გამარჯვებული ორგანიზაციის შეფასება?	იგულისხმება, რა ფორმით უნდა ხდებოდეს შეფასება და გამარჯვებული გამოვლენა.
6	თქვენი აზრით როგორ უნდა ხდებოდეს გაცემული გრანტების მონიტორინგი?	გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით
7	თქვენი რეკომენდაცია, რა გზით უნდა მოხდეს სახელმწიფო საგრანტო პროგრამების /პროექტების გაუმჯობესება?	რას ურჩევდნენ გრანტის გამცემ სახელმწიფო უწყებებს - საგრანტო პროგრამების /პროექტის დაგეგმვის, ინფორმაციის გავრცელების, განაცხადების მიღების და შეფასების, მონიტორინგის და ანგარიშგების ეტაპზე რა უნდა შეიცვალოს/გაუმჯობესდეს